პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 59 (12875) | ოთხშაბათი, 11 მარტი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ტ. გ. შევჩენკოს სახელობის პრემია მიენიჭა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

თბილისი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის უკრაინის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, დიდი წვლილისათვის უკრაინის საბჭოთა სოციალისტური კულტურის, ისევე როგორც ყველა მოძმე საბჭოთა ხალხის კულტურის განვითარებასა და განმტკიცებაში, გამოჩენილი უკრაინელი პოეტის, რევოლუციონერი დემოკრატის ტ. გ. შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავის ნათელ თარიღთან დაკავშირებით უკრაინის სსრ ტ. გ. შევჩენკოს სახელობის პრემიის მთავრობის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დაადგინა 1964 წლის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის პრემია მიანიჭოს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

ტ. გ. შევჩენკოს ნაწარმოებთა საიუბილეო გამოცემა და სამახსოვრო მედალი დიდი კობზარის პატივსაცემად

ნ. ს. ხრუშჩოვს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები

გაგრა, 9 მარტი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე იმყოფება, მიიღო უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ო. ი. ივაშჩენკო და უკრაინელი მწერალი ამხ. ს. ი. ოლეინიკი. უკრაინის სსრ მთავრობის საიუბილეო კომიტეტის სახელით მათ ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცეს საიუბილეო მედალი, რომელიც დაწესდა დიდი პოეტის, რევოლუციონერი-დემოკრატის ტ. გ. შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად. ნიკიტა სერგის-ძეს აგრეთვე გადასცეს ტ. გ. შევჩენკოს პორტრეტი, რომელიც ხეზე მოზაიკური წესით შეასრულა უჟგოროდის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ მიხეილ ბობელამ, ტ. გ. შევჩენკოს ნაწარმოებთა ექვსტომეული, „კობზარის“ საიუბილეო გამოცემა და სხვა სამახსოვრო სუვენირები, რომლებიც უკრაინის სსრ მთავრობის საიუბილეო კომიტეტმა მოამზადა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა სამახსოვრო საჩუქრებისათვის.

—მოხარული ვარ, — თქვა ნიკიტა სერგის-ძემ, — რომ მივიღე ეს შესანიშნავი სამახსოვრო საჩუქრები იმ დღეს, როცა მთელი საბჭოთა ქვეყანა, მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანები აღნიშნავენ დიდი უკრაინელი პოეტისა და მხატვრის, ხალხთა თავისუფლებისათვის, ბედნიერებისა და მეგობრობისათვის მებრძოლის ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავს.

ხალხთა თავისუფლებისა და ძმობის მომღერალი

სურათზე: ტ. გ. შევჩენკოს ძეგლთან -კიევში.

ტ. გ. შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომები

მოსკოვი

თუ პოეტის გულმა შეიწოვა ხალხის მთელი ფიქრები, მისი გულისწყრომა და ცრემლები, მისი ოცნება ნათელ ხვედრზე, — პოეტის ლექსი უკვდავია. ასეთი ლექსები უძღვნა ადამიანებს დიდმა კობზარმა — ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკომ.

მებრძოლმა და მეოცნებემ, მეამბოხემ და ხალხთა ბედის მოზიარემ, მან თავისი სიცოცხლით დაიმსახურა სიყვარული, ხსოვნა და მარადიული აღიარება. იქნებ სწორედ იმიტომ, რომ თავის ლექსებში, თავის „ზაპოვიტში“ შევჩენკო ჩვენს თავისუფალ მიწა-წყალს ხედავდა, ხედავდა მის ხალხებს ერთიან ოჯახად, პოეტის სახელი ერთნაირად ძვირფასი და ახლობელია მისი მშობლიური დნეპრისა და წყნარი ნემანის ნაპირებზე, არალისპირეთის ველებსა და თეთრი ღამეების ქალაქ ლენინგრადში, მსოფლიოს გულში — მოსკოვში...

და ყველა, ვინც მოვიდა 9 მარტს დიდ თეატრში, სადაც გენიალური უკრაინელი პოეტის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გამართა, გრძნობდა დიდ სიახლოვეს, გულიდან ნათესაობას მასთან — „დიადი ოჯახის, თავისუფალი, ახალი ოჯახის“ შვილთან.

მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები, უკრაინის მთავრობის დელეგაცია, რუსეთის მწერლები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები — ყველა, ვისთვისაც ძვირფასია შევჩენკოს პოეზია, აქ არის, ამ საღამოსწყნარად მორთულ დარბაზში. პრეზიდიუმში არიან საბჭოთა კავშირის საიუბილეო კომიტეტის წევრები, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის წარმომადგენლები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლები, გამოჩენილი რუსი მწერლები, ხელოვნების ოსტატები. აქვე არიან დიდი უკრაინელი პოეტის ნათესავები **დ. ფ. კრასიცკი** და **ა. პ. შევჩენკო.**

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ დარბაზში შემოსულ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, ნ. ვ. პოდგორნის, მ. ა. სუსლოვს, ვ. ვ. გრიშინს, ლ. ნ. ეფრემოვს, პ. ნ. დემიჩევს, ლ. თ. ილიჩოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ა. პ. რუდაკოვს, ვ. ნ. ტიტოვს, ა. ნ. შელეპინს.**

უკრაინის დიდი შვილი ყველაზე გამოჩენილი სახალხო პოეტების რიცხვს მიეკუთვნება, როგორსაც კი იცნობს მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, თქვა თავის „სიტყვაში ტარას შევჩენკოს შესახებ“ საბჭოთა კავშირის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ **ნიკოლოზ ტიხონოვმა.** ტარას შევჩენკო ახალი უკრაინული ლიტერატურისა და უკრაინული ლიტერატურული ენის ფუძემდებელია, რევოლუციონერი დემოკრატი, მხატვარი, მოაზროვნე და მებრძოლია. მისი უკვდავი ქმნილებანი გვესაუბრებიან ჩვენ დღეს ისევე, როგორც მაშინ, როცა პოეტი წინ მიუძღოდა ჩაგრულებს და მიჰქონდა სიტყვის კაჟაკაჟა ჩირაღდანი, თავისუფალი ბროვნების ძალა, ხალხის გამარჯვების, ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრების რწმენა.

ტარას შევჩენკოს პატივს სცემს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი. ამიტომ მას ყველგან პატივს სცემენ როგორც თავიანთ დიდ მეგობარს, ხალხის დიად ფიქრთა, თავისუფლებისადმი სიყვარულს, ბედნიერების ოცნების გამომხატველს. ტარას შევჩენკოს წიგნები საბჭოთა ხელისუფლების წლებში გამოვიდა 13 მილიონზე მეტი ცალი ტირაჟით სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა 42 ენაზე.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სიტყვით, „ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკო პოეტის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გამართა, გრძნობდა დიდ სიახლოვეს, გულიდან ნათესაობას მასთან — „დიადი ოჯახის, თავისუფალი, ახალი ოჯახის“ შვილთან.

„ტარას! ეს სიტყვა ხმა გაისმის ყველა მატერიზე, განაგრძობს ნიკოლოზ ტიხონოვი. იმ ხალხებისათვის, რომლებიც კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ იბრძვიან, კობზარის ლექსები გაისმის როგორც მოწოდება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, ჩარსულის ბორკილისგან ადამიანის სრული განთავისუფლებისათვის საბრძოლველად.

უმჯობესი ტარა, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭომ უკანასკნელ სამ წელიწადში ორჯერ აღნიშნა შევჩენკოს თარიღი, მეკერმეტყველურად მოწმობს დიდი უკრაინელი პოეტის მსოფლიო მნიშვნელობას. ევროპაშიც, ოკეანის გაღმაც გაისმის უკვდავი კობზარის შთამაგონებელი სტრიქონები, და სულ სხვადასხვა ხალხი სიყვარულითა და აღტაცებით იხსენებს მას.

ტარას შევჩენკო გამჭრიახი თვალით ხედავდა, რომ დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, რომ დღითი დღე იზრდება თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგეთა არმია საზოგადოების ყველა კლასში. ხალხური სიმღერა, ხალხის ფიქრი იყო ის გარემო, სადაც წარმოშვა ტარას შევჩენკოს პოეზია. მაგრამ რა მგზნებარებით, რა ახალი შინაარსით აღავსო მან თავისი პოემები და ლექსები. ამატომაა რომ ცოცხლობდა და ცოცხლობს შევჩენკოს პოეზია ადამიანთა გულში.

მისი სიტყვა ესტაფეტივით გადაეცემოდა თაობებს. ამ სიტყვაში ცოცხლობს უკვდავი მოწოდება გვძღოლდეს ჩაგვრა, ეს სიტყვა მიგვაჩნია ხალხის გმირული სამსახურის მაგალითად.

იგი ჩვენთან, კომუნიზმის მშენებლებთან არის იმიტომ, რომ „კომუნიზმი წყობილებაა, სადაც იფურჩქნება და სავსებით ვლინდება თავისუფალი ადამიანის ნიჭი და უნარი, მისი საუკეთესო ზნეობრივი თვისებები“.

როცა დღეს დიდი კობზარის ცხოვრებასა და შემოქმედებას ვიგონებთ, სიხარულით ვხედავთ, თუ რა სასწაული მოახდინა თავისუფალი ხალხის ძალამ და ნებისყოფამ ჩვენს თვალწინ ველური მშობლიურ მიწა-წყალზე, და ჩვენ ჯეროვან პატივსა ვცემთ ტარას შევჩენკოს უკვდავ გმირობას.

ტრიბუნაზეა ლენინგრადელი პოეტი **ალექსანდრე პროკოფიევი.** ჩვენ, ლენინგრადელები, თქვა მან, ვამაყობთ, რომ ტარას შევჩენკოს ბიოგრაფიაში ლენინგრადის პერიოდს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აქ გამოისყიდეს იგი მონობიდან დიდი, რუსული კულტურის ადამიანებმა. პეტერბურგში შექმნა შევჩენკომ თავისი პირველი სურათები, დაწერა პირველი ლექსები. აქ გამოქვეყნდა მისი პირველი წიგნი — უკვდავი „კობზარი“.

მე ელაპარაკობ ლენინგრადის, მამაცობისა და დიდების ქალაქის სახელით, თქვა პოეტმა, მისი დიდება, რომელიც მთელ მსოფლიოშია ცნობილი, შექმნა ხალხმა და ამ დიდების გვირგვინში ჩაწნულია უკრაინის მომღერლის დიდი კობზარის უკვდავი სახელი.

საბჭოთა ბელორუსიაში ვერც ერთ კუთხეს ვერ ნახავთ, სადაც ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს უკვდავ სიმღერებს არ იცნობდნენ, თქვა ბელორუსმა პოეტმა **პეტრუს ბროვკამ.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ შევჩენკომ უდიდესი გავლენა მოახდინა ბელორუსული პოეზიის განვითარებაზე. მისი ყველაზე ნიჭიერი მოწაფეები იყვნენ იანკა კუპალა და იაკუბ კოლასი.

ტარას შევჩენკოს — მხატვარს მიუძღვნა თავისი სიტყვა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილმა წევრმა, საბალოლის მოსწავლემ მიხეილ ბობელამ, ტ. გ. შევჩენკოს ნაწარმოებთა ექვსტომეული, „კობზარის“ საიუბილეო გამოცემა და სხვა სამახსოვრო სუვენირები, რომლებიც უკრაინის სსრ მთავრობის საიუბილეო კომიტეტმა მოამზადა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გულითადი მადლობა გადუხადა სამახსოვრო საჩუქრებისათვის.

—მოხარული ვარ, — თქვა ნიკიტა სერგის-ძემ, — რომ მივიღე ეს შესანიშნავი სამახსოვრო საჩუქრები იმ დღეს, როცა მთელი საბჭოთა ქვეყანა, მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანები აღნიშნავენ დიდი უკრაინელი პოეტისა და მხატვრის, ხალხთა თავისუფლებისათვის, ბედნიერებისა და მეგობრობისათვის მებრძოლის ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავს.

ხალხო მხატვარმა ბორის იოგანსონმა, მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ თავის სახვით ხელოვნებაში, ისევე როგორც პოეზიაში, ტარას გრიგოლის-ძე იყო მგზნებარე მებრძოლი, რომელმაც ახალი გზები დასახა ხელოვნებაში.

მანგიშლაკში დღემდე ცოცხალია ჩვენთვის წმინდათა წმინდა „შევჩენკოს ხე“ — ტირიფი, რომელიც პოეტმა თავისი ხელით დარგო, თქვა ყაზახმა მწერალმა **გაბიტ მუსრეპოვმა.** ყაზახეთის მიწა-წყალზე ტარას გრიგოლის-ძემ ათი წელი დაპყო გადასახლებაში. ამ წლებმა ღრმა კვალი დაჩნიეს როგორც თვით პოეტი-მხატვრის მრავალფეროვან შემოქმედებას, ისე ყაზახი ხალხის სულიერ ცხოვრებას. შევჩენკოს ნამდვილად ინტერნაციონალური, მსოფლიო მნიშვნელობა, თქვა შემდეგ ორატორმა, განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს დღეს, როცა ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხი ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობენ კომუნისტური საზოგადოების საკეთილდღეოდ. ყაზახეთის ყამირ ველებში, მაგალითად, ბევრია უკრაინელი ახალგაზრდობა, რომელიც სამშობლოს ამტკიცებს თავის ერთგულებას დიდი კობზარის უკვდავი ანდერძისადმი.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ქართველმა პოეტმა **კარლო კალაძემ.** ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს სიმღერები, თქვა მან, ისევე ახლობელი და საყვარელია საქართველოში, როგორც თვით უკრაინაში. გამართლდა დიდი წინასწარმეტყველის ოცნება, განაგრძო კარლო კალაძემ. „დიდ, ახალ ოჯახად“ გაერთიანებულნი ჩვენ მას ვგონებთ არა ჩუმი, ირმატა სიზეიმო, ლამაზიანი სიტყვით.

უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა უკრაინის მთავრობის, მთელი უკრაინელი ხალხის სახელით გულითადი სალამი და მადლობა გადასცა დიდ რუს ხალხს ტ. გ. შევჩენკოსადმი სიყვარულისა და მისი ხსოვნის პატივისცემისათვის პოეტმა-აკადემიკოსმა **ალექსანდრე კორნეიჩუკმა.**

უკრაინელი ხალხის ღრმა, გულითადი მადლობისა და სიყვარულის ნიშნად დიდი რუსი ხალხისადმი, ა. კორნეიჩუკმა

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

10 მარტს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მეჟავანაძემ.**

პლენუმის დღის წესრიგშია საკითხი: სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის შედეგები და საქართველოს კომპარტიის ამოცანები.

მოხსენება ამ საკითხზე გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის-მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. **შ. ი. ჭანუყვაძემ.**

თანამოხსენებანი გააკეთეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. **ზ. ბ. გელდიაშვილმა,** საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრმა ამხ. **გ. ს. ქობულიამ,** რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ ამხ. **ი. მ. ხოხლოვმა,** საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილემ, სასოფლო მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსმა ამხ. **შ. მ. თათარაშვილმა.** კამათში მონაწილეობა მიიღეს: აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, აფხაზეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. **გ. ი. ბერულავამ,** ახალციხის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტკომის მდივანმა ამხ. **ი. ს. ხარისჩარიშვილმა,** საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. **ვ. ი. მეტრეველმა,** აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, აჭარის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. **რ. მ. სიორიძემ,** სიღნაღის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. **ა. ი. გონაშვილმა,** სარეფაჭაოს მერქვეფობა-მეგობოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. **ა. გ. დემეტრაძემ,** ხაშურის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტკომის მდივანმა ამხ. **ზ. დ. აბაზაძემ.**

პლენუმი განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ა. არაუზოსი და ვ. ლისარიდისი

გაგრა, 10 მარტი (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც აქ იმყოფება, მიიღო კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ა. არაუზოსი და კვიპროსის პარლამენტის დეპუტატი ვ. ლისარიდისი.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და კვიპროსის რესპუბლიკიდან ჩამოსულ სტუმრებს შორის გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც განიხილეს კვიპროსის მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირ-კვიპროსის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები.

არაუზოსმა და ლისარიდისმა ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცეს კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტის მაკარიოსის პირადი წერილი, რომელშიც კვიპროსელი ხალხი მადლობას უძღვნის საბჭოთა მთავრობას ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით იმ მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, რაც კვიპროსს გაუწიეს რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და მთლიანობისათვის ბრძოლაში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გულითადი მადლობა გადუხადა გულთბილი სიტყვებისათვის საბჭოთა კავშირისა და მისი მთავრობისადმი და ყოველივე საუკეთესო უსურვა კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტს მაკარიოსსა და მთელ კვიპროსელ ხალხს.

საუბარს, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეხუთე განყოფილების გამგე ს. ტ. ასტავინი.

გულთბილი მისალმება ამხანაგ ოტო გროტეოლისადმი

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს დაბადების 70 წლისთავი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ **ოტო გროტეოლს** — გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს, ამხანაგების ვ. პიკისა და ვ. ულბრიხტის ერთგულ თანამოაზრეს გერმანიის მუშათა კლასის ერთობისათვის ბრძოლაში, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ერთ-ერთ დამაარსებელს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამხანაგ ოტო გროტეოლს უსურვეს ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და ახალი წარმატებანი დაუღალავ ბრძოლაში. გერმანიის პრობლემის მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობის დიდებული ამოცანების განხორციელებისათვის; საბჭოთა და გერმანული ხალხების მარად ურღვევი მეგობრობისათვის.

* * *

აღნიშნა რა ამხანაგ ოტო გროტეოლის თვალსაჩინო დამსახურება მშვიდობისა და სოციალიზმის, საბჭოთა და გერმანული ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის საქმის განმტკიცებაში, მისი დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იგი დაჯილდოვა ლენინის ორდენით. (საკდესი).

ყოველი ჰექტარი—სიუხვის წყარო!

რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას

ინტენსიფიკაციის გზით

საწარმოო სამმართველომ მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა იმ დიდი ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც ჩვენს წინაშე დასახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმებმა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიმდინარე და ვენახებში მინერალური და ორგანული სასუქების გატანას. დღემდე მრავალწლიანი კულტურების ნიადაგში შეტანილია 1200-ტონაზე მეტი კალიუმისა და ფოსფოროვანი სასუქები.

მოსავლიანობის გადიდების საქმეში, როგორც ეს თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებშია აღნიშნული, გადამწყვეტ როლს ასრულებს წყლის რესურსების გონივრულად გამოყენება. ჩვენი უხვმოსავლიანი ხოდაბუნის მაგისტრალური არხი 400-მდე ჰექტარს რწყავს. არხი დროულად იქნება წესრიგში მოყვანილი.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობა მომზადებული ხვდებიან საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაობებს. „საქსოფლტექნიკის“ საჩხერის განყოფილებამ გადაჭარბებით შეასრულა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის გასული წლის მეოთხე კვარტალისა და მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმები.

გაცხოველებით მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა. წელს მზრალსა და ნაგაზაფხულო ხნულზე დაითესება 9.500 ჰექტარზე მეტი სიმინდი. სულ დაითესება 12.700 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. გათვალისწინებულია 3 მილიონი ცალი ვაზის ნერგის გამოყვანა.

მიმდინარე წელს გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. მარცვლეული კულტურების საერთო წარმოება შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გადიდდება, ყურძნისა — 40.000 ცენტნერამდე, ჩაის მწვანე ფოთლისა — 2.400 ცენტნერამდე, რძისა —27.500 ცენტნერამდე.

ა. იაკობაშვილი.
საჩხერის საწარმოო სამმართველოს უფროსი.

შრომა ალამაზებს ადამიანს

მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა** თავის მოხსენებაში პარტიელ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირზე დასახა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, გზით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები და დიდი ყურადღება დაუთმო მატერიალური სტიმულის ფართოდ დანერგვას.

ჩვენ, მეჩაიეები, ერთსულოვნად ვიწონებთ პარტიის ბრძნულ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისა და შრომის უკეთესი ორგანიზაციის უზრუნველყოფისაკენ. ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ თვითეულ მშრომელს ჭკნდეს თავისი საქმიანობის ამსახველი შრომის პასპორტი. ეს კიდევ უფრო განმტკიცებს შრომის დისციპლინას.

შარშან 0,6 ჰექტარზე მოვკრიფე 9.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. წელს გადავწყვიტე უფრო საგულდაგულოდ მოვუარო პლანტაციას. დამთავრებული მაქვს რიგთა შორის ნიადაგის გადახარვა, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა. საღრენაჟო არხები გაწმენდილია. მზად ვარ მაღალხარისხოვნად და დროზე დავამთავრო ჩაის ყველა საგაზაფხულო სამუშაო.

ვალდებულებას ვკისრულობ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა ასრულებას, ნედლეულის ბოლომდე ამოწურვას, ეკონომიკურ ანგარიშებზე გადასვლას, ნიადაგში ნაყოფიერების ამაღლებას, ბალახეულ ნარგავებში ფოთლის ფოთოლ-ფოთოლ ამოკრეფას, ბალახეულ ნარგავებიდან ბალახის ამოღებას, ბალახეულ ნარგავებიდან ბალახის ამოღებას, ბალახეულ ნარგავებიდან ბალახის ამოღებას.

ზ. ბაჯელიძე,
მახარაძის საწარმოო სამმართველოს განაყლების კოლმეურნეობა „უკრაინის“ მოწინავე მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

არ შევრცხვებით

ჩვენი ბრიგადა ყურძნის უხვი მოსავლისათვის ჯერ კიდევ 1955 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე გახდა. მაშინ მსუბუქი ავტომანქანა „პობედა“ მაჩუქეს, ბრიგადის წევრებიც დაჯილდოეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებათა და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების პასუხად, მინერალური და ორგანული სასუქების გონივრული გამოყენებით, აგროტექნიკის ზუსტად დაცვით წელს ჰექტარზე 120 ცენტნერ ყურძენს მივიღებთ.

ვენახები მწკრივთა შორის დავამუშავეთ, შპალერი შევაკეთეთ, ნიადაგში სასუქები შევიტანეთ. ვაზს მოვლას არ დავაკლებთ, პირობას არ გავტეხთ.

ვ. ნემსაძე,
ზესტაფონის რაიონის სოფელ თარჯოლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ვაგზისუბნელთა სიტყვა და საქმე

გასული წელი ვაზისუბნელებმა ურიგო სამეურნეო მაჩვენებლებით როდი დაამთავრეს. მაგრამ ჩვენ ეს არ გვაკმაყოფილებს. მიუხედავად არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა, ჩვენმა მეევნახეებმა ყურძნის მოსავლიანობის გეგმა შესრულეს. ჰექტარზე მივიღეთ 51 ცენტნერი ყურძენი, სახელმწიფოს 16.000 ცენტნერი ყურძენი მივყიდეთ. ა. პაპაშვილის, ტ. ღარიბაშვილის, ს. დათუნაშვილისა და ლ. გომურაშვილის რგოლებმა კი ჰექტარზე 60-65 ცენტნერი ყურძენი მიიღეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარების საკითხი წინა პლანზე დააყენა. ეს საკითხის სწორი და ოინტენსიური გადაწყვეტაა. ავიღოთ თუნდაც ჩვენი ზვრები. მართალია, ყურძნის მოსავლიანობის გაზრდის ყოველ წელს გადამტებით ვასრულებთ, მაგრამ ეს ხდება მოზინავეთა ხარჯზე, კარგად მოვლილი ვენახების ხარჯზე. ყოველ ჰექტარზე უხვი მოსავალი რომ მოგვყავდეს, მაშინ უფრო იმატებს ზვრების ბარაქა.

ამისათვის საჭიროა ვებრძოლოთ ვენახებში სიმეჩხრის სრული ლიკვიდაციისათვის. ჩვენ ამას ახლა პრაქტიკულად ვაბორციელებთ. სიმეჩხრის მოსასპობად ახალ, პროგრესულ ხერხებს ვიყენებთ, რაც გაადიდებს ყურძნის მოსავლიანობას. ამასთან, კომპლექსური მექანიზაციისა და მოწინავეთა გამოცდილების გამოყენებით მივიღწევთ იმას, რომ მიმდინარე წელს ჰექტარზე მოვიყვანოთ 90 ცენტნერი და სამშობლოს მივცეთ 36.000 ცენტნერი ყურძენი.

მ. იაშვილი.
გურჯაანის საწარმოო სამმართველოს ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ა. ი. მიქოიანი ბერლინში

ბერლინი, 10 მარტი. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ოტო გროტეოლის 70 წლისთავის გამო დღეს აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი.

ა. ა. გრომიკოს ვიზიტისათვის შვეიცარიასა და ფინეთში

შვეიცარიის მთავრობისა და ფინეთის მთავრობის მიწვევით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო ოფიციალურ სტუმრად ვიზიტად ეწვევა შვეიცარიას 17-დან 21 მარტამდე და ფინეთს — 21-დან 26 მარტამდე.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება ო. გროტეოლისადმი

ბერლინი, 10 მარტი. (საკდესი). დღეს აქ გამოქვეყნდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება ამხანაგ ოტო გროტეოლისადმი მისი დაბადების 70 წლისთავის გამო.

მისალმებაში ხაზგასმულია ო. გროტეოლის როლი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პოლიტიკური და იდეოლოგიური მომზადების საქმეში, აგრეთვე აღნიშნულია ო. გროტეოლის საქმიანობა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე, უწინარეს ყოვლისა მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებისა და სრულყოფის საქმეში.

იუბილარისადმი მისალმებას ხელს აწერს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყველა წევრი და წევრობის კანდიდატი.

არჩევნები არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში

კაირო, 10 მარტი. (საკდესი). დღეს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში დაიწყო ეროვნული კრების არჩევნები. პარლამენტის 350 ადგილზე დასახელებულია 1648 კანდიდატი. ხმის მიცემა დამთავრდება დღეს საღამოს 5 საათზე.



#

ხალხთა თავისუფლებისა და ძმობის მომღერალი

(დასასრული)

სხდომის პრეზიდიუმს გადასცა საჩუქრები — უკრაინელი ოსტატების ხელით ნაქსოვი ხალჩა, საიუბილეო მედალი და ტ. გ. შევჩენკოს ეკვსტომიანი თხზულებათა კრებული. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს — მოსკოვს მან მიართვა საიუბილეო მედალი და დიდი უკრაინელი პოეტის ნაწარმოებნი.

შემდეგ ორატორმა განაცხადა, რომ ტარას შევჩენკოს ხსოვნის საყოველთაოსახალხო აღნიშვნა კიდევ ერთი ბრწყინვალე გამოვლინებაა ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებისა, კომუნისტური პარტიის ზრუნვისა საბჭოთა სოციალისტური კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. კორნეიჩუკმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა ბევრი რამ გააკეთა უკრაინის კულტურის, ხალხის შემოქმედებითი ძალების განვითარებისათვის, შევჩენკოს სამშობლოს — მომძე უკრაინის აყვავებისათვის.

უკრაინელი ხალხის სახელით ა. კორნეიჩუკმა აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, დიდ რუს ხალხს, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხს, რომ საბჭოთა უკრაინა უფრო დიდი აღფრთოვანებითა და მგზნებარებით იბრძოლებს კომუნიზმისათვის, მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის.

* * *

საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

კიევი

დიდი ზეიმით აღნიშნავენ საბჭოთა უკრაინის მშრომელები ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს — გენიალური პოეტისა და ხალკვრის, რევოლუციონერი-დემოკრატის დაბადების 150 წლისთავს, ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა უკრაინის დედაქალაქის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების სხდომა, რომელიც დღეს გაიმართა. სხდომა მიმდინარეობდა კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში.

პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **პ. ე. შელესტი,** უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ი. პ. კაზანეცი,** უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **დ. ს. კოროტჩენკო** და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტების წევრები, მეცნიერებისა და კულტურის კამოჩენილი მოღვაწენი, მოკავშირე რესპუბლიკათა, მოსკოვისა და ლენინგრადის დელეგაციათა ხელმძღვანელები, რომლებსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **პ. ე. შელესტმა.**

მკუთხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი პოეტ-აკადემიკოსის **მ. ფ. რილსკის** წონადადებას, რომ სხდომის თავმჯდომარედ აირჩიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ერთგული ლენინელის, მშვიდობისა და კომუნიზმისათვის დაუღალავი მებრძოლის **ნ. ს. ხრუშჩოვის** მეთაურობით.

მოხსენება „შევჩენკო და თანამედროვეობა" გააკეთა უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **ა. ტ. გონჩარმა.**

ეს დღე ჩვენთვის ღირსშესანიშნავი დღეა — განაცხადა ა. ტ. გონჩარმა, ტარას შევჩენკოს იუბილე ჩვენი ძმობის დღესასწაული, მრავალეროვნული სოციალისტური კულტურის ნათელი ზეიმი გახდა. ტარასის უკვდავების საუკეთესო გვირგვინია ჩვენი მეგობრობის — ხალხთა ლენინური მეგობრობის ცოცხალი გვირგვინი.

ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ხალხებთან ერთად, განაგრძობს ა. ტ. გონჩარი, ტარას შევჩენკოს იუბილეს აღნიშნავს მსოფლიოს ყველა ხალხი. კაცობრიობის წინაშე მისი დიდი დამსახურების აღიარების დადასტურებაა იუნესკოსა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალური კონფერენციის XII სესიის გადაწყვეტილება, რომლებმაც დაადგინეს ტარას გრიგოლის ძე შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავი აღინიშნოს ყველა ქვეყანაში, ყველა კონტინენტზე.

შევჩენკოს გამოჩენა ისტორიის ასპარეზზე, აღნიშნავს მომხსენებელი, მოამზადა ხალხის მთელმა წინა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, უკრაინის კულტურის მრავალსაუკუნოვანმა განვითარებამ. შევჩენკომ, როგორც პუშკინმა რუსულ ლიტერატურაში, როგორც მიცკევიჩმა პოლონურ ლიტერატურაში იმდროინდელ უკრაინულ ლიტერატურაში მოახდინა ის, რაც მხოლოდ ყოვლისშემძლე გენიოსებს ძალუძთ, — მთელი სისრულით, სილამაზითა და ძალით გააცნო მსოფლიოს უკრაინელი ხალხის უდიდესი სულიერი სიმდიდრე და ფაქტიურად ქმნა შემოქმედებითი შესაძლებლობანი. შევჩენკოს პოეზია გახდა ყოველივე იმ საუკეთესოს სინთეზი, რაც ასეული წლების მანძილზე დააგროვა უკრაინის დემოკრატიულმა კულტურამ. შევჩენკომ, რომელსაც კარგად ესმოდა იმდროინდელი უკრაინული ლიტერატურის წინაშე მდგომი საზოგადოებრივი ამოცანები, მისი განვითარება წარმართა ხალხურობის გზით, დემოკრატიზმისა და რეალიზმის გზით.

კობზარის უჭკნობი მხატვრული მემკვიდრეობა, აღნიშნავს მომხსენებელი, ორგანულად ერწყმის საბჭოთა საზოგადოების სულიერ ცხოვრებას, რომელმაც მიზნად დაისახა აღზარდოს მაღალი მორალური თვისებების მქონე, შრომისმოყვარე, მამაცი, პატიოსანი, წარსულის გადმონაშთებისაგან თავისუფალი ადამიანი.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა ტ. გ. შევჩენკოს მძიმე, მრავალტანჯული ცხოვრების შესახებ, ყოველმხრივ და ღრმად დაახასიათა მისი შემოქმედება და განაცხადა: დღეს, როცა პატივს ვცემთ ჩვენს დიდ კობზარს, მთელი ხმით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა ხალხების ოჯახში უკრაინას საპატიო ადგილი უჭირავს, აქ პატივს სცემენ მის შემოქმედებითს შრომას, მის შემოქმედებას, მის კულტურას.

ყველა მიღწევას, წარმატებას შრომაში, ცხოვრებაში, მეგობრობისათვის ბრძოლაში ჩვენი სამშობლოს ხალხები უნდა უმადლოდნენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს მეთაურობით. ყველაფერი, რითაც ამაყობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, მიღწეულია ხალხის დაუცხრომელი, თავდადებული შრომით, რომელსაც უკრაინის სახელოვანი კომუნისტური პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობენ.

ხელოვნების ხალხურობის, სიმართლისა და სილამაზის შევჩენკოსეული ტრადიციები მთაადგონებენ ჩვენს თანამედროვე ხელოვნების მოღვაწეებს.

სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა **ნ. ა. კუზნეცოვმა** მოსკოვის მშრომელთა სახელით მხურვალე ძმური სალამი უძღვნა უკრაინის გმირ ხალხს, რომელმაც მსოფლიოს მისცა კობზარი. რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვ. ი. კოჩეტკოვმა** უკრაინელ ხალხს საჩუქრად გადასცა ტ. გ. შევჩენკოს ბრინჯაოს ბიუსტი, რომელიც შეასრულა პოეტის თანამედროვემ მოქანდაკე ფ. ფ. კამენსკიმ, — უიშვიათესი რელიკვია — ტ. გ. შევჩენკოს ავტოპორტრეტი ავტოგრაფით, ავტოგრაფები დიდი კობზარის ლექსებისა „დუმკა" და „გუშაგის სიმღერა სამატიროსთან" ლრამიდან „პატარძალი". ლენინის ქალაქის მშრომელთა სახელით, საზეიმო სხდომის მონაწილეებს, მთელ უკრაინელ ხალხს გულითადად მიესალმა ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ა. პ. ბაიკოვი.**

საზეიმო სხდომაზე გამოვიდნენ ავრეთვე ყაზახეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ს. მ. მუკანოვი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დ. ვ. სტურუა,** ბელორუსიისსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ი. ფ. კლიმოვი,** უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **რ. ნ. ნიშანოვი** და მოძმე რესპუბლიკების სხვა დელეგაციათა ხელმძღვანელები.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღმავლობით გაუგზავნეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვს. (საკდესი).

** КИЕВ,** 9 მარტი. (საკდესი). კიევის ცენტრში, ძველ პარკში, გრანიტის ძალან კვარცლბეგზე აღმართულა ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული კობზარის დიდებული ფიგურა. იმ საზეიმო დღეს, როცა უკრაინელი ხალხი, ჩვენი სამშობლოს მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა ფართოდ აღნიშნავდნენ შევჩენკოს იუბილეს, ათასობით კიეველი, ბევრი სტუმარი მივიდა კობზარის ძეგლთან და კობზარისადმი მიბურვალე სუყვარულისა და ღრმა პატივისცემის ნიშნად გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკო მისი ძეგლი.

ძეგლთან გაიმართა მიტინგი. მიტინგს დაესწრნენ ამხანაგები **პ. ე. შელესტი, ი. პ. კაზანეცი, დ. ს. კოროტჩენკო** და უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, საიუბილეო ზეიმზე ჩამოსული დელეგაციების ხელმძღვანელები და სხვანი.

მიტინგი გახსნა პარტიის კიევის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ი. დროზდენკომ.** შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ შრომელმა **ნ. ჰ. ბაჟანმა,** კომუნისტური შრომის დამკვრელმა, ვ. ი. ლენინის სახელობის ქარხანა „არსენალის" მუშამ **ვ. ნ. გაიცანმა,** უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა აკადემიკოსმა **ბ. ე. პატონმა.**

თგილისი

„ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკო მახლობელი და ხვარფასია ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხისათვის იმიტომ, რომ იგი თავის ნაწარმოებებში გამოხატავდა არა მარტო უკრაინელ ღარიბ-ღატაკთა ფიქრებს, აოამედ ყველა ერის მშრომელთა ფიქრებს". ხიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ეს სიტყვები საუკეთესოდ გვიხატავენ იმ უსაზღვრო სიყვარულს წყაროს, რასაც მსოფლიოს ხალხები გრძნობენ პოეტ-რევოლუციონერისადმი.

შევჩენკოს — პოეტისა და მოქალაქის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მეგობრობისათვის მებრძოლის სახელი ძვირფასია ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში ხოროშეხსნილი კაცობრიობის ნათელი და შემართებული ოცნებები.

ამ დღეებში მთელ საბჭოთა ხალხთან, მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად ქართველი ხალხი ფართოდ აღნიშნავს უკრაინელი ხალხის დიდი შვილის დაბადების 150 წლისთავს.

დიდი უკრაინელი პოეტისადმი ქართველი ხალხის სიყვარულის დემონსტრაცია იყო საზეიმო სხდომა, რომელიც გუშინ გიმართა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები **გ. ნ. ბოჩკარიოვი, გ. ა. გეგეშიძე, მ. ი. კუპავა, ვ. პ. მეკავანაძე, პ. ა. როდიონოვი, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე, ო. ე. ჩერქეზია, ა. ნ. ინაური, შ. ა. დოლიძე.**

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა პოეტმა-აკადემიკოსმა **ი. ბ. აბაშიძემ.**

— უკრაინელი ხალხის დიდი შვილის ტარას შევჩენკოს პოეზია, — თქვა მან, — მახლობელი და გასაგებია ქართველი ხალხისათვის. მხურვალე გამოხმაურებას პოვებს ჩვენს გულში შევჩენკოს შემოქმედება, რომელიც გამსჭვალულია კაცთმოყვარეობის, ხალხთა ძმობისა და თანაბარმრმლობის იდეებით. პირველად ქართულ ენაზე მისი ნაწარმოებები ითარგმნა XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში. ქართულ რევოლუციამდელ პრესაში პოეტის ნაწარმოებებთან ერთად სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები, წერილები და კორესპონდენციები პოეტის ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალი ძალით აღორძინდა ქართულ ენაზე შევჩენკოს ლექსების ბეჭდვა. ქართულ ენაზე თარგმნილმა კობზარის ლექსთა წიგნებმა ყოველი ქართველის გულში დაისადგურა.

თავმჯდომარე სიტყვას მოხსენებისათვის აძლევს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს **თ. პ. ბუაჩიძეს.**

მომხსენებელმა თქვა, რომ შევჩენკოს ძმის ცხოვრება ბრწყინვალე მაგალითია იმისა, თუ რა ძალა აქვს ნიჭსა და უნარს, ხალხს უსაზღვრო სიყვარულს, ნათელი მომავლის ურყევ რწმენას, და როგორ მიიყვანა ყოველივე ამან მსოფლიო. პოეზიის მწვერვალამდე ყმის შვილი, რომელსაც ყველა ფენებად ჰქონდა აკრილი. პოეტის შემოქმედება საფუძვლად დაედო ახალი უკრაინული ლიტერატურის განვითარებას. პოეტის სიცოცხლეში გამოქვეყნდა მხოლოდ 17 ნაწარმოები (დანარჩენები ცენზურამ აკრძალა), მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ უკრაინაში ზეპირად იცოდნენ მისი უკვდავი ლექსები და პოემები.

მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო ენციკლოპედიური პოეტისა და ნიჭიერი მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებას, როლს, რომელიც მან შეასრულა უკრაინელი ხალხის ლიტერატურასა და ცხოვრებაში, და ილაპარაკა დიდი კობზარის კავშირურთიერთობაზე ქართველ პოეტებთან, ქართულ ლიტერატურასთან.

საღამოზე გამოვიდნენ საქართველოს სამხატვრო აკადემიის პროფესორი **ე. სანაძე,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ა. ბარამიძე,** თბილისის 78-ე საშუალო სკოლის პედagogი **ე. გაპონოვა,** თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი **დ. ლუცენკო,** ს. კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატი **ა. იმნაძე,** პოეტი **ი. ნონეშვილი,** უკრაინელი პოეტი **ი. კარსკი.**

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომლის პროგრამაში ფართოდ იყო წარმოდგენილი იუბილარის ნაწარმოებები.

* * *

ტარას გრიგოლის-ძე შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები გაიმართა აგრეთვე ქალაქებში სოხუმში, ბათუმში, ცხინვალსა და ქუთაისში. (საკდესი).

ჩვენი ლექცია

ბალი ჩვენი სიმდიდრეა

როგორ მოვუაროთ ხეხილს

მეხილეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია. ქართული ხილი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით. საქართველოში XIX საუკუნის დამლევამდე მეხილეობას ძირითადად მოხმარებითი ხასიათი ქონდა. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოს შუაგულში — ქართლში იქმნება პატარ-პატარა სანერგეები, სადაც გამოჰყავდათ ადგილობრივი და ევროპული ჯიშის ხეხილის ნერგები. ქართლიდან ევროპული ხილი გავრცელდა საქართველოს სხვა რაიონებში — მესხეთში, კახეთსა და იმერეთში.

ხეხილის ბაღების ფართობი რესპუბლიკაში 1921 წელთან შედარებით დაახლოებით 3,5-ჯერ გაიზარდა, დღეისათვის 105 ათას ჰექტარს აღწევს. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული გეგმა ითვალისწინებს შვიდწლედის ბოლოსათვის რესპუბლიკაში ბაღების ფართობის 155 ათას ჰექტარამდე გადიდებას, ბაღების ფართობების მატებასთან ერთად ნაგარაუდევია ხილის წარმოების ერთიორად და უფრო მეტად გადიდება.

სოფლის მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვან დარგში, მიუხედავად მოპოვებული მიღწევებისა, ჯერ კიდევ შესაფერ სიმაღლეზე ვერ დგას ხეხილის ბაღებში მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლა, ხეხილთა მასობრივად გავრცელებას იმთავითვე ხელი შეუწყო საზღვარგარეთიდან ვაშლის, მსხლისა და სხვა ხეხილის ახალი ჯიშების შემოტანამ. მავნებლები და ავადმყოფობანი არა მარტო აფერხებენ ხეხილის ნორმალურ ზრდას და ამცირებენ მოსავლიანობას, არამედ ხშირად მათი დაღუპვის მიზეზიც ხდებიან.

ცალკეული მავნებლებისა და ავადმყოფობათა მოსასპობად არსებობს ბრძოლის მრავალი კონკრეტული ღონისძიება. ბრძოლის უფრო ეფექტურად წარმართვისათვის საჭიროა გამოყენებულ იქნას არა ცალკეული მეთოდი, არამედ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. ამასთან ეს ღონისძიებანი წლის განმავლობაში ისეთი თანმიმდევრობით უნდა ხორციელდებოდეს, მათი ვადებისა და ხარისხის დაცვით, რომ უზრუნველყოფილ იქნას როგორც თვით ნარგავების, ისე მოსავლის დაცვა.

მავნებლებისა და ავადმყოფობათა წინააღმდგ ბრძოლის ღონისძიებები ხორციელდება ორ პერიოდში: **ზამთრგზამა-ზამთარსა და გაზაფხულ-ზაფხულში.** პირველ პერიოდში როგორც მცენარეები, ისე მავნებელ-ავადმყოფობანი იმყოფებიან მოსვენებაში, მაშასადამე, უფრო გამძლენი არიან გარემო პირობების მიმართ და საჭირო ხდება შხამმასალის დედი ღონირებით სარგებლობა. მეორე პერიოდში კი მცენარეები ვეგეტაციაშია, ხოლო მავნებლები მოზამთრეობიდან გამოსული და აქტიური არიან. ამ შემთხვევაში პრეპარატები იხმარება უფრო დაბალი კონცენტრაციისა მცენარეების მეტი ფიტოციდურობის გამო, ხოლო მავნებლები და ავადმყოფობანი ნაკლებ გამძლენი ხდებიან.

☐ ხეხილის ავადმყოფობას მკურნალობა სჭირდება.
☐ დაავადებათა წინააღმდგ ბრძოლის ღონისძიებები აუცილებლად უნდა შმსრულდეს.
☐ ბაღის მოუვლელობა დანაშაულია.

რა ღონისძიებანი უნდა განვახორციელოთ გაზაფხულ-ზაფხულში?

აი ეს ღონისძიებანიც:

ნავთობის ზეთის ემულსიით ხეხილის შესხურება. კალიფორნიისა და ირანფერი ფარიანების ძლიერ გავრცელების კერებში ნავთობის ზეთის 4-პროცენტიანი ემულსია, აკაციის ცრუფარიანის წინააღმდეგ 6-პროცენტიანი, ხოლო ვაშლის დიდი ცრუფარიანის წინააღმდეგ 8-პროცენტიანი.

ნავთობის ზეთის ემულსიით ხეხილის შესხურება წარმოებს გაბანის წესით სასხურებელში ძლიერი წნევით. ამიტომ წამლობა უნდა მოეწყოს ძრავიანი აპარატით. ამასთან ხეხილის დამუშავება ისე უნდა მოხდეს, რომ მისი არც ერთი ნაწილი არ დარჩეს წამლით დაუფარავი. შესხურება ეწყობა წყნარ ამინდში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა 5-6 გრადუსზე ნაკლები არ არის.

ხეხილის შესხურება თიოფოსით. ვაშლის მინაფრთიანას მოსასპობად იყენებენ თიოფოსის ერთ-პროცენტიან ემულსიას. ამ შხამით განსაკუთრებით კარგად სხურდება ხეხილის შტამბი და დედა ტოტები, სადაც უმთავრესად მავნებელია დასახლებული. იმ შემთხვევაში, თუ ხეხილზე ერდროულად დასახლებულია ფარიანები და ვაშლის მინაფრთიანა, მაშინ ნაკვეთი დამუშავდება ამ შხამების კომბინირებული ნაზავით. ამისათვის ჩვეულებრივ დამზადდება ზეთის 4-პროცენტიანი სამუშაო ემულსია და მას მიემატება თიოფოსის კონცენტრატი სათანადო რაოდენობით, რომელიც ჯერ ცალკე ცოტა წყალში გაზავდება არევით და მერე მიემატება ზეთის სამუშაო ემულსიას. ხეხილის თიოფოსით დამუშავებისას ჰაერის ტემპერატურა +10-ზე დაბალი არ უნდა იყოს.

ვაშლის ტოტების კიბოს მოსასპობად უნდა მოეწყოს დაავადებული ტოტების გამოსხვლა და მათი დაწვა, ხოლო მთავარ ტოტებზე დაავადებული ქერქის აცლა, ლაქების მჭრელი დანით გასუფთავება საღ ქსოვილამდე და ჭრილობის დეზინფექცია ერთპროცენტიანი შაბიამნის ხსნარით. ამის შემდეგ კი ზედაპირი დაიფარება ბიტუმით. ეს ღონისძიება განხორციელდება შემოგდომაზე ან გაზაფხულზე.

თიხა-კირწყლით ხეხილის შეთეთრება. ეს ღონისძიება მომართულია ხეხილის შტამბისა და დედა ტოტების მზის ამწვრილისაგან დასაცავად. ამიტომ ხეხილის აღნიშნული ნაწილების შეთეთრება უნდა მოეწყოს გვიან შემოდგომასა და ადრე გაზაფხულზე, ვიდრე დღე-ღამის განმავლობაში ტემპერატურის მკვეთრი მერყეობა დაიწყებოდეს.

ნიადაგის დამუშავება გაზაფხულ-ზაფხულში. ამ პერიოდში ხეების ქვეშ წარმოებული კულტივაცია — თოხნის დროს ნიადაგის ზედაპირზე მოქცეული მზომელების, ხვატარების, ნაყოფჭამიების, და სხვა მავნებლების მატლები და ჭუპრები მშრალი ჭარების, მაღალი ტემპერატურისა და მზის სხივების მოქმედებით იღუპებიან.

ნიადაგის მორწყვა გაზაფხულ-ზაფხულში. გაზაფხულზე ბაღების მორწყვა მით უფრო ეფექტურია, რაც ადრე მოეწყობა. ე. ი. ვიდრე მავნებლები გაღვიძებდნენ და ნიადაგიდან ამოვიდოდნენ. გაზაფხულზე ნაკვეთის მორწყვა ერთ-ერთი რადიკალური ღონისძიებაა ალუბლის ბუზის მოსასპობად, ასევე მნიშვნელოვნად ამცირებს მხერხავებს, მზომელებს, ხვატარებს და სხვ.

ბიოლოგიური მეთოდის გამოყენება ბურტყლა ბუგრის მოსასპობად. ბურტყლა ბუგრთან ბრძოლა წარმოებს მისი ბუნებრივი მტერით — პარაზიტით, რომელსაც აფელინუსი ეწოდება. აფელინუსი გავრცელებულია ჩვენი რესპუბლიკის ბაღებში, სადაც წარმოებს დასახლებული მავნებლის მოსპობა. ეს პარაზიტი ყველა ბაღში თანაბრად არა გვხვდება, ამიტომ საჭირო ხდება ბურტყლა ბუგრის გავრცელების კერებში აფელინუსის მჭიდროდ დასახლებული ადგილებიდან გატანა.

ბურტყლა ბუგრთან აფელინუსით ბრძოლა მიჩნეულია უფრო რადიკალურ ღონისძიებად, ვიდრე ქიმიურით, როდესაც მავნებლებთან ბრძოლა წარმოებს ნავთობის ზეთის 8-პროცენტიანი ემულსიით, რადგან პირველი საშუალება უფრო იაფი და იოლია. პარაზიტით ბრძოლას კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ მას შეუძლია მავნებელი მოსპოს ზეთის ემულსიით შეუღწეველ ადგილებში. პარაზიტის ახალ ადგილებში გავრცელებისას საჭიროა მისი წინასწარ დამზადებამომარაგება. ეს ასე წარმოებს: გვიან შემოდგომაზე პარაზიტის გავრცელების კერებში იჭრება 15-20 სმ სიგრძის ტოტები, რომლებზეც აფელინუსით დაზიანებული (ჩაშავებული) ბუგრის კოლონიებია. ჩაშავებული ბუგრის სხეული მთელი უნდა იყოს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იქიდან პარაზიტი გამოფრენილ არ არის. აჭრილი ტოტები კალთში ჩაიწყობა და კარგად აირევა. დაჭრილი სარტყელები კასრში ჩაიწყობა 5 წუთის განმავლობაში, რის შემდეგ ისინი ამოიღება და დაიკიდება ნაზავის დასაწრეტად. შემდეგში სარტყელები რიდლში გაიფინება გასაშრობად. ეს სამუშაო სრულდება ფარდულის ქვეშ, რათა სარტყელებს მზე არ მოხვდეს. მზის სხივები თიოფოსს შლის და ტოქსიკური მოქმედების ხანგრძლივობა მცირდება. სარტყელები შეშრობის შემდეგ ხეხილს უკეთდება.

თიოფოსში გაღვენთილმა სარტყელებმა ხეხილის კანის დაწვა რომ არ გამოიწვიოს, ხოლო მზის სხივებმა სარტყელებზე უარყოფითი გავლენა არ იქონიოს, შტამბსა და დედა ტოტებს ჯერ უკეთდება სუფთა, სქელი ქაღალდი (სარტყელის ზომისა), მერე თიოფოსში გაღვენთილი სარტყელი, ხოლო ამას ზევიდან კიდევ ერთ ფენად ქაღალდი ეფარება.

ნაქარის შეგროვება და მოსპობა. ამ საშუალებით უმთავრესად ვებრძვით ნაყოფჭამიებსა და მხერხავებს, რითაც მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება. მაგალითად, ვაშლისა და ქლიავის ნაყოფჭამიების მატლები იღუპება 15-25 პროცენტით. მხერხავებით დაზიანებულ ნაყოფს სამეურნეო მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ შეგროვებისთანავე ორმოში უნდა ჩავმარხოთ. ნაყოფჭამიებით დაზიანებული ნაყოფიც პირველ ხანებში, ვიდრე სამეურნეო მნიშვნელობა მიეცემოდეს, მალე უნდა მოისპოს. მეურნეობაში ნაქარის გადამუშავების შემთხვევაშიც ნაყოფის გამოყენება სწრაფად უნდა წარმოებდეს. ყოველად დაუშვებელია შეგროვებული ნაქარის ბაღში ან მის ნაპირებზე ხვავებად დატოვება, რადგან იქიდან გამოსული მავნებლები კვლავ ნარგაობას უბრუნდებიან, პირველ ბანებში ნაქარის შეგროვება 3-5 დღეში ერთხელ ხდება, ხოლო მოსავლის აღებამდე ორი კვირით ადრე ყოველდღე.

მსხმოიარე თესლოვანი ხეხილის კომბინირებული ნაზავით შესხურება წარმოებს 7-ჯერ და ეწყობა შემდეგ ვადებში:

პირველი, ე. წ. ცისფერი წამლობა ეწყობა მწვანე კონუსის პერიოდში, იყენებენ 3-პროცენტიან ბორდოს სითხეს და „დტ-ს" ზეთის (10-პროცენტიანი კონცენტრაციის შემთხვევაში) 2-პროცენტიანი ემულსიის კომბინირებულ ნაზავს. ამ წამლობით ვებრძვით მთელ რიგ მავნებლებსა და ავადმყოფობას, როგორიცა არის: ოქროკუდა, კუნელის პეპელა, მხერხავები, ცხვირგრძელები, ვაშლისა და მსხლის ქეცი, ატმის ფოთლის სიხუჭუჭე, ნერნაგი და სხვ. იმ შემთხვევაში, თუ გაზაფხულზე ხშირი წვიმების გაძო ამ კომბინირებული ნაზავით ხეხილის ყველა ნარგაობის დამუშავება მწვანე კონუსის პერიოდში ვერ მოხერხდა, წამლობა მაინც გაგრძელდება ხეხილის ყვავილობამდე, ხოლო 3-პროცენტიანის მაგიერ იხმარება 1-პროცენტიანი ბორდოს სითხე.

მეორე წამლობა ეწყობა ყვავილობის დამთავრებისთანავე — ხეხილს სხურდება 1-პროცენტიანი ბორდოს სითხის, „დდტ" (30-პროცენტიანი სველებადი ფხვნილის შემთხვევაში) 0,7-პროცენტიანი და ეთერსულფონატის 0,8 პროცენტიანი სუსპენზიის კომბინირებული ნაზავი. ეთერსულფონატი ნაზავს იმ შემთხვევაში ემატება, თუ ბაღებში ტკიპები გავრცელებული. ეს წამლობა მიმართულია გარდა პირველი შესხურებისას ჩამოთვლილი მავნებლებისა და ავადმყოფობებისა აგრეთვე არაფარდი და რგოლური აბრეშუმ-ქსოვების ვაშლის ჩრჩილის და სხვათა წინააღმდეგ.

მესამე წამლობა დაკავშირებულია ვაშლის ნაყოფჭამიის განვითარებასთან, ხოლო ადრეული ჯიშებისა — ბალის ნაყოფჭამიის ლარვების ამოსვლასთან. ეს წამლობა ეწყობა 8-10 გრადუსზე არ ნაკლებ ტემპერატურაზე. ეს ვადა ბაღებში ერთ-ერთ ადრეულ ფაზაშია

საერთაშორისო
დეკემბერი სტუდენტი ბიბლიოთეკა
ცხოვრება

ციური ძმეგი ნორვეგიას ეწვივნენ

ჯონსონი აღიარებს...

კვიპროსის ვიცე-პრეზიდენტს ოინი ჩაეშალა

როცა ციგელშტრასეს კუთხეში „ვეფხვი“ აფეთქდა

მხილებული ცილისწამება

ნიკოზია, 9 მარტი. (სპეციალური). კვიპროსის ბერძნულმა გაზეთებმა გუშინ გამოაქვეყნეს კვიპროსის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს ცნობა კვიპროსის ვიცე-პრეზიდენტის ქუჩუკის დეპეშის გამო, რომელშიც 25 თებერვალს გაუგზავნა მან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯონსონს, ინგლისის, საბერძნეთის, თურქეთის მთავრობებს, უშიშროების საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ თანს. ეს დეპეშა შეიცავს უხეშ ცილისმწამებლურ გამოხდომებს საბჭოთა კავშირის მიმართ, კერძოდ, მტკიცებას, თითქოს საბჭოთა კავშირი კვიპროსის რესპუბლიკასთან დადებულ შეთანხმებას ვაჭრობისა და საჰაერო მიმოსვლის შესახებ იმ მიზნით იყენებდეს, რომ კვიპროსში გადაიტანოს იარაღი, სამხედრო აღჭურვილობა და გადაიყვანოს პერსონალი. დეპეშაში ქუჩუკი მოუწოდებს დასავლეთის ქვეყნებს „სანამ გვიან არ არის“ შეიჩერონ „კომუნისტური შეიარაღებული შეღწევა“.

სსრ კავშირის საელჩო აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-კვიპროსის ურთიერთხელსაყრელი ვაჭრობა წარმატებით ვითარდება სავაჭრო და საგადამხდელო შეთანხმების საფუძველზე, რომელიც 1961 წლის დეკემბერში დაიდო, ესე იგი დიდი ხნით ადრე, სანამ მოხდებოდა ტრაგიკული ამბები კვიპროსში, რომლებიც ხელოვნურად შექმნეს გარედან, ხოლო მოსკოვ-ნიკოზიის პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის შესახებ შეთანხმების დადების საკითხი აგრეთვე წარმოიშვა არა გუშინ, არამედ დაახლოებით 1 წლის წინათ.

ცნობაში ნათქვამია, რომ ზემოაღნიშნული გამოხდომები მიზნად ისახავს ცილი დასწამონ სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას და საბჭოთა კავშირის პრინციპულ პოზიციას კვიპროსის ახლანდელ ამბებში, აგრეთვე ჩამოაშორონ საზოგადოებრიობის ყურადღება კვიპროსში შექმნილი დაძაბულობის ნამდვილ მიზეზებს.

საბჭოთა კავშირის პოზიცია, აღნიშნულია დასასრულ ცნობაში, მეტად ნათლად ჩამოყალიბებულია საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ცნობილ წერილში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, საბერძნეთისა და თურქეთის ხელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებისადმი,

გააძევეს...

ლონდონი, 10 მარტი. (საკდესი). კვიპროსის მთავრობამ ინგლისის უმაღლეს კომისარს აცნობა, რომ ინგლისის რადიომაუწყებლობის კომპანიის ბი-ბი-სის „კორესპონდენტი პიტერ ჯონ ფლინი „მიაჩნია არასასურველ პირად კვიპროსში მისი საქმიანობის გამო“.

ფლინმა დატოვა კვიპროსი, იუწყება რეიტერის საააგენტო.

8 მილიონამდე მექსიკელ გლეხს მიწა არა აქვს. სოფლების ათასობით მცხოვრებნი სასოწარკვეთილნი ტოვებენ თავიანთ სახლებს და ქალაქებში მიდიან. მაგრამ ძალიან ცოტა ახერხებს მუდმივი სამუშაოს შოვნას, უმრავლესობა კი უმუშევართა არმიას ემატება.

სურათზე: ასეთ ქოხებახებში არიან თავშეფარებულნი ღატაკები. სურათი გადაღებულია მექსიკის დიდაქალაქის ახლოს.

ფოტო იუპი-ასსისა

მთავარი პრიზი საბჭოთა ფილმს

რომი, 9 მარტი. (საკდესი). სპორტული კინოფილმების საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც იტალიის კურორტ კორტინა დ'ამპეცოში მიმდინარეობდა მთავარი პრიზი („გრან პრი“) კვლავ, ისევე როგორც შარშან, მიანიჭეს საბჭოთა კინემატოგრაფისტებს. ეს პრიზი ფილმების საუკეთესო პროგრამის ჯილდოა. იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრიზი მიანიჭეს საბჭოთა ფილმს „მორბენალი მოთხოვნამურის წვრთნა“.

ფესტივალის ლაურეატებს შორის არიან იაპონიის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების კინემატოგრაფისტები.

წლევანდელ კონკურსში მონაწილეობა მიიღეს 20 ქვეყნის კინოსტუდიებმა, რომლებმაც 72 ფილმი წარმოადგინეს.

კოლონიზატორთა ფეხქვეშ მიწა იწვის

კაირო, 10 მარტი. (საკდესი). ამ უკანასკნელ დროს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთით ინგლისის პროტექტორატების ტერიტორიაზე მეამბოხეთა ძალებსა და ინგლისელ კოლონიზატორთა შორის სერიოზული შეტაკების ასპარეზი გახდა.

როგორც მენის საგენტო იუწყება, მეამბოხეთა რაზმები თავს დაესხნენ ინგლისის ჯარების ბარაკებს რაფფანის რაიონში. გაფფრენელი შეტაკების დროს ინგლისელებმა დაკარგეს 18 ჯარისკაცი და 2 ოფიცერი.

საბჭოთა კოსმოსის გმირები ოსლოში

ოსლო, 9 მარტი. (საკდესი). დღეს ნორვეგიის პრემიერ-მინისტრმა ეინარ გერჰარდსენმა მიიღო საბჭოთა კოსმონავტები ი. ა. გაგარინი და ვ. თ. ბიკოვსკი, რომლებიც სტუმრად იმყოფებიან აქ. მეგობრულ საუბარს დაესწრო სსრ კავშირის ელჩი ნორვეგიაში ნ. მ. ლუნკოვი. პრემიერ-მინისტრმა სიხარული გამოთქვა კოსმოსის ხაბჭოთა გმირებთან შეხვედრის გამო და აღტაცება — მათი გმირობის გამო. მან მადლობა გადაუხადა ი. ა. გაგარინს დაბადების დღე. უსურვა მას ჯანმრთელობა და დიდი წარმატებანი ცხოვრებაში.

ოსლო, 10 მარტი. (საკდესი). საბჭოთა კოსმონავტების ი. გაგარინის და ვ. ბიკოვსკის ჩამოსვლას დაემთხვა ფილმის „ვარსკვლავეთის გზა“ პრემიერა ვ. ბიკოვსკისა და მსოფლიოს პირველი კოსმონავტი ქალის ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვას ერთად ფრენის შესახებ. ფილმის პრემიერაზე მოსულმა მაყურებლებმა ინტერესით მოუმინეს ი. გაგარინის და დიდხანს უკრავდნენ ტაშს ფილმის გმირს ვ. ბიკოვსკის.

საბჭოთა კავშირის დახმარებით

10 მარტს სამაეში (სამხრეთი ერაყი) გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომლის დროსაც გაიხსნა რკინიგზა, რომელიც ერაყის რესპუბლიკის დიდაქალაქ ბაღდადს აკავშირებს ბასრის ნავსადგურთან. ახალი მგზავრული ამენდა საბჭოთა კავშირის მეგობრული დახმარებით.

დაახლოებით რომელიწლადნახევრის შრომობდნენ ათასობით ერაყელი მუშა, აგრეთვე საბჭოთა სპეციალისტები იმისათვის, რომ დაემთავრებინათ ეს პროექტი, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ერაყის ეკონომიკისათვის. ბაღდად-ბასრის რკინიგზა შესაძლებელს გახდის ათიგისონ ჰორის ნაკლებდასახლებული დაშაობებული რაიონი.

„ამერიკაში მეჯად დიდი უმუშევრობაა“

ვაშინგტონი, 10 მარტი. (საკდესი). შეერთებულ შტატებში წინანდებურად მეტად დიდია უმუშევრობა და ძალიან ბევრი მთლიანად როდია დასაქმებული. ძალიან ბევრს არა აქვს გასათვლა და სპეციალობა, — განაცხადა გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა, როცა კონგრესს უგზავნიდა ყოველწლიურ მოხსენებას ამერიკის შეერთებული შტატების მუშახელის შესახებ. პრეზიდენტის მოხსენებას თან ერთვის ამერიკის შეერთებული შტატების შრომის მინისტრის ორტაცის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორი მოთხოვნაა მუშახელზე, როგორია მისი რეზერვები, როგორ იყენებენ და ამზადებენ.

1963 წელს, ნათქვამია, პრეზიდენტის მოხსენებაში, შეერთებულ შტატებში საშუალოდ 4,2 მილიონი უმუშევარი იყო, რაც შეადგენს მთელი ეროვნულის 5,7 პროცენტს. ამერიკის შეერთებული შტატების უმუშევრობის დონე ერთი ოად და უფრო მეტად აღემატებოდა განვითარებული მრეწველობის მქონე მეტი წილი ქვეყნების უმუშევრობის დონეს. ამას ემატება ისიც, რომ ამერიკაში 2,6 მილიონი მრეწველობის მუშა და სოფლის მეურნეობის დიდძალი მუშა მთელი სამუშაო კვირის განმავლობაში არ იყო დასაქმებული და იღებდა არასრულ ხელფასს.

პრეზიდენტის შრომის მინისტრის მოხსენებებში ხაზგასმულია, რომ უმუშევრობა ამერიკის ეკონომიკის გაცხოველების პერიოდებშიც კი განუხრელად მატულობს. ამის მიზეზი ის არის, რომ მუშახელის რიცხვი 1963 წელს უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე წინა წლებში, ხოლო მოთხოვნა მუშახელზე შემცირდა ახალი ტექნიკის დანერგვის გამო.

მანქანების მიერ ადამიანის გამოძევებამ განსაკუთრებით მძიმე გავლენა მოახდინა ახალგაზრდობაზე, ზანგებსა და სხვა ეროვნულ უმცირესობებზე.

საფრანგეთის კომუნისტთა გამარჯვება

პარიზი, 10 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის კანტონური არჩევნების პირველი ტურის შედეგები მოწმობს, რომ განმტკიცდა კომუნისტთა პოზიციები, ნათქვამია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა. ხმების დათვლამ ცხადყო რომ კომუნისტურმა პარტიამ მისი კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რაოდენობით პირველი ადგილი დიაკავა. ამომრჩევლებმა, რომლებმაც ნდობა გამოუცხადეს მშრომელთა პარტიას, ცხადყვეს, რომ მხარს უჭერენ მთელი მუშათა და დემოკრატიული ძალების კავშირის პოლიტიკას.

კომუნისტურმა პარტიამ ყველა მშრომელსა და დემოკრატს, მოუწოდა გაერთიანონ თავიანთი ლონისძიებანი მეორე ტურში, რათა დაამარცხონ პირადი ხელისუფლების რეჟიმის მომხრეები.

ვილსონის განცხადება

ლონდონი, 10 მარტი. (საკდესი). ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა პაროლდ ვილსონმა განაცხადა, რომ თუ ლეიბორისტული პარტია სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას, გააუქმებს ინგლის-ამერიკის შეთანხმებას „პოლარისის“ რაკეტების შესახებ. ეს შეთანხმება, რომელსაც გასულ წელს მოაწერა ხელი კონსერვატორთა მთავრობამ, ითვალისწინებს, რომ ამერიკა ინგლისს მიაწვდის „პოლარისის“ რაკეტებს. ლეიბორისტთა ლიდერმა ეს განაცხადა ტელევიზიით გამოსვლის დროს.

გაანიარაღების კომიტეტში

ჟენევა, 9 მარტი (საკდესი). დღეს აქ გაიმართა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის არაოფიციალური სხდომა. მსჯელობა იყო იმ საკითხზე, თუ როგორ უნდა განხილოს კომიტეტმა „პარალელური“ ან „ნაწილობრივი“ ლონისძიებანი, ესე იგი ისეთი ლონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შესუსტებას, უშიშროებისა და ხალხთა შორის ნდობის განმტკიცებას.

როგორც ცნობილია, გადაწყვეტილება, რომ მოეწყოს ასეთი სხდომა საპროცედურო საკითხზე. მიღებული 18 სახელმწიფოს კომიტეტის წარსულ ოფიციალურ სხდომაზე იმასთან დაკავშირებით, რომ კომიტეტის წევრებს შორის, კერძოდ ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთა შორის, იჩინდა უკმაყოფილება შეერთებული შტატების დელეგაციის ობსტრუქციონისტული ტაქტიკის გამო, რომლებიც ფუშავენ „ნაწილობრივ ღონისძიებათა“ განხილვის მოწესრიგების ცდებს.

18 სახელმწიფოს კომიტეტთან დაახლოებულ წრეებში აღნიშნავენ, რომ მხოლოდ „ნაწილობრივ ღონისძიებათა“ განხილვის მოწესრიგებას, რამდენიმე მათგანის (მაგალითად, სახელმწიფოთა სამხედრო ბუჯეტების შემცირების საკითხის) გამოყოფას და იმას, რომ ამას მიაქციოს კომიტეტმა მთავარი ყურადღება, შეუძლია წინ წასწიოს 18 სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობა და მოტანოს დიდი ხნის ნანატრი დადებითი შედეგები.

გადააყენეთ ტრეტნერი!

ბერლინი, 10 მარტი (საკდესი). გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა ერჰარდის მთავრობას გამოიძიოს ბუნდესვერის ახლანდელი სარდლის, გენერალ ტრეტნერის დანაშაულებრივი საქმიანობა და „ნაწილობრივი“ ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შესუსტებას, უშიშროებისა და ხალხთა შორის ნდობის განმტკიცებას.

ეს ინტელიგენტები ყოველთვის ცდილობენ მეტად ჭკვიანები იყონ. შექსპირი შექსპირადვე დარჩება, და აქ ფუჭი ლაყბობა რა საჭიროა“.

შემდეგ სადგურზე ვაგონიდან გამოვედი და გაზეთი ვიყიდე — დამაინტერესა იმან, თუ რა შეუძლიათ ახალი გვითხრან შექსპირზე გამომთვლელმა მანქანებმა და რატომ ასე აღშფოთებით ლაპარაკობდა მგზავრი სტატიის შესახებ.

როგორც გამოირკვა, სტატია, რომელიც დაწერილია რონალდ დუნკანის მიერ, მხოლოდ იმეორებდა ძველ, გაცვეთილ „თეორიებს“ ბეკონის ავტორობის შესახებ, მაგრამ ახალი ფანდებით. ინგლისში არსებობს სერ ფრენსის ბეკონის საზოგადოება, რომლის წევრებსაც მიაჩნიათ, რომ „ყანბის შვილი და უმეცარი“ — ეს „რიგითი მსახიობი და მოხტიალე“ (ასე უწოდებენ ისინი შექსპირს), ცხადია ვერ შეთხზავდა პიესებს, რომლებსაც მის კალამს მიაწერენო. იმ დროის ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეიძლებოდა ჰქონოდა ასეთი შესანიშნავი ჭკუა და ხელოვნების ასეთი დახვეწილი გაგება. მათი აზრით, უეჭველად იყო სერ ფრენსის ბეკონი — გამოჩენილი მეცნიერი და, რაც ყველაზეტრზე მნიშვნელოვანია, არისტოკრატი.

რონალდ დუნკანს მიაჩნია, რომ გამომთვლელ მანქანას ბოლოს და ბოლოს შეუძლია მოგვცეს პასუხი, არსებობდა შექსპირი თუ არა. ერთი შეხედვით ეს სიახლედ გაისმის. დუნკანის აზრით, თუ ყველაფერს, რაც შექსპირზე ვიცით, მთელ ჩვენს ცოდნებს მის შესახებ (თუ ამ ცნობების უქონლობას) გამომთვლელ მანქანაში გავატარებთ, იგი ალბათ მოგვცემს პასუხს, რის მოცემაც ადამიანს, მთელი თავისი სალი გონების მიუხედავად ჭერჭერობით არ ძალუძს.

ამრიგად, ძველი დავა შექსპირის შესახებ, რაც ჯერ კიდევ 1780 წელს წამოწყო ერთმა მღვდელმა, უნდა გადაწყვეტოს — ასე მიაჩნია დუნკანს — გამომთვლელმა მანქანამ.

ასეთი ვოლგარიზაცია ტიპიურია ბეკონის მომხრეთათვის, რომელნიც ამ ვოლგარიზაციას ანგარებითი მიზნებით იყენებენ. მათ სურთ, რომ დავა გადაწყდეს არისტოკრატიის სასარგებლოდ, რისთვისაც. რასაკვირველია, უნდათ გამოიყენონ მანქანის მათემატიკური სიზუსტე და ლოგიკა.

მათს თეორიას საფუძვლად უდევს თეზისი იმის შესახებ, რომ „მდაბიო წარმოშობის“ ადამიანი თითქოს ვერ მიაღწევდა ისეთ მაღალ ინტელექტუალურ განვითარებას, რომელსაც შექსპირის პიესები ასახავენ. ამის დასამტკიცებლად მათ მოპყავთ ის ფაქტი, რომ შექსპირის მამა ეროხელ დაუჭირომებიათ იმისათვის, რომ სტრატფორდის ქუჩებს აჭუჭყიანებდა. ეს, ამბობენ ბეკონის მომხრენი, იმას მოწმობს, რომ შექსპირი დაბალი წოდებიდან იყო, თუმცა, შესაძლოა ყანბის შვილი არც კი იყო. ისინი იმის მტკიცებამდე მიდიან, რომ იგი თითქოს დათანხმდა გადაეცა თავისი გვარი ბეკონისათვის, ვინაიდან ამ უკანასკნელს სასახლეში თავისი მაღალი მდგომარეობის გამო არ შეეძლო თავისი სახელი თეატრთან დაეკავშირებინა.

მაგრამ თანამედროვეებს ძალიან ბევრი საბუთი აქვთ, რომ არც ერთ ამ მტკიცებას არ დაეთანხმონ.

სამ სხვადასხვა პორტრეტზე, რომლებიც დახატულია მალევე შექსპირის სიკვდილის შემდეგ, გამოსახულია ერთი და იგივე კაცი. შექსპირის დაბადების ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის, თუმცა დაბადების წელი ზუსტად არის ცნობილი (შექსპირის საფლავზე დადგმულ ძეგლს წარწერა აქვს, რომ იგი სიცოცხლის 53-ე წელს გარდაიცვალა). მის სიცოცხლეშივე გამოქვეყნებულ მის ნაწარმოებთა ბეჭდური ეგზემპლარი რომ არსებობს, ეს შექსპირის ავტორობის ძვირფასი და უტყუარი დადასტურებაა.

ამაზე შეიძლებოდა დავა არ გამართულიყო. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ წელს აღინიშნება შექსპირის იუბილე, კვლავ წამოყენეს თავი ბეკონის მომხრეებმა, აგრეთვე იმ ადამიანებმა, რომლებსაც სურთ სახელი გაუტეხონ შექსპირს. საბოლოო ანგარიშით ვისმე უნდა წამოეყენებინა იდეა — გამომთვლელ მანქანაში. „გიტარებინათ“ მთელი ცნობები შექსპირის შესახებ და ეცადათ მიეღოთ თავიანთი შეზღუდული გონებისათვის სრულყოფილი ელექტრონული მანქანის პასუხი, სახელდობრ ის, რომ შექსპირი თითქოს შექსპირი ალარ არის.

რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთ „ივინინგ სტანდარდში“ შეიძლებოდა გასცნობოდით იმ პასუხს, რაც მისტერ დუნკანმა მიიღო. ერთ-ერთი პირველი გამოვდა სერ ფრენსის ბეკონის საზოგადოების პრეზიდენტი. ოო, მან, რა თქმა უნდა, მხარი დაუჭირა მისტერ დუნკანს! მან კვლავ დაადასტურა ბეკონის მომხრეთა პრეტენზიები, სხვა პასუხში ნათქვამია: „ყველაფერი, რაც შესაძლოა კვლავ აღმოჩენილ იქნას მისი (შექსპირის) ცხოვრებაზე, ფიქციას წარმოადგენს“.

ჩვენ არ შეგვიძლია. დავუშვათ, რომ მისტერ დუნკანის მონაჭოლმა შექსპირზე მხარდაჭერა ჰპოვოს... ბენ ჯონსონი, შექსპირის თანამედროვე, დიდი დრამატურგის შესახებ წერდა: „მე მიყვარს იგი და პატივს ვცემ მის ხსოვნას. იგი პატიოსანი და გულღია იყო“. იმ ადამიანის ხასიათის სისადავეზე, რომელმაც ყველასთვის ცნობილი შედევრები შექმნა, ასევითვე აზრისა არიან მეტი წილი სერიოზული მკვლევარები. შექსპირი და მისი შრომები ყოველთვის ჩვენი კუთვნილება იქნება, ოღონდ ის ისინი არასოდეს არ იქნებიან იმათი კუთვნილება, რომლებსაც თავი არისტოკრატებად მოაქვთ.

ჯეიმს ოლდრიჯი,
ინგლისელი მწერალი.

შექსპირი და გამომთვლელი მანქანა

„ივინინგ სტანდარდის“ სტატიის გამო

ამას წინათ, მეტროში რომ ვიჯექი, საღამოს გაზეთში დავინახე სანტერესო სათაური: „დიდი ხანია დროა გამომთვლელი მანქანა შეუდგეს შექსპირზე მუშაობას“. მყვირალა სათაურები ყოველთვის იპყრობენ ყურადღებას, მაგრამ შექსპირის სახელი იქ იშვიათად გვხვდება, თუმცა ახლა მის შესახებ ბევრს წერენ: მიმდინარე წლის აპრილში სრულდება დიდი მწერლის დაბადების 400 წლისთავი. ვიცადე წამეკითხა სტატია ჩემი მეზობლის მხარს უკნიდან, მაგრამ ვერ მოვახერხე. მეზობელმა იგრძნო, რომ მე ინტერესს ვიჩენდი მისი გაზეთისადმი, მომიბრუნდა და აღშფოთებით მითხრა: „რატომ არ მოეხსნებიან მას? ეს ინტელიგენტები ყოველთვის ცდილობენ მეტად ჭკვიანები იყონ. შექსპირი

მოწმოგს პრესა

ბორმანის დოსიე არ დახურულა

□ ჰიტლერის რაიხის აგონია. □ აფეთქება ციგელშტრასეს კუთხეში. □ ბორმანის გაქრობის გამოცანა. □ საკუთარი თვალით მნახველი ადასტურებს: დამნაშავე ცოცხალი დარჩა. □ წყალქვეშა ნავის საიდუმლო რეისი.

უნგრული ჟურნალი „მადიარორსაგი“ კომენტარს უკეთებს მსოფლიო პრესის ვარაუდებს ერთ-ერთი მთავარი ფაშისტი დამნაშავის მარტინ ბორმანის ბედის შესახებ. ვაქვეყნებთ ამ სტატიის თარგმანს.

„ბორმანის გამოცანა“ გაჩნდა 1945 წლის აპრილის დამლევს ჰიტლერის იმპერიის აგონიის დღეებში. ალყაშემორტყმული ბერლინის ცენტრში ფიურერის ბუნკერში იბადებოდა ფანტასტიკური იდეები, მრავლდებოდა პოლიტიკური ინტრიგები, რომელთა ინიციატორი ბორმანი იყო. ჰიტლერმა თავის ანდერძში, რომლითაც ძალაუფლებას ადმირალ დენიცს გადასცემდა, განკარგულება გასცა, რომ ახალ მთავრობაში ბორმანს „პარტიული მინისტრის“ პოსტი დაკავებინა. ეს სავსებით შეესაბამებოდა ბორმანის ზრახვებს. იგი კიდევ ფიქრობდა დასავლეთთან სეპარატული ზავის დადებაზე, გუშინ ატარებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომში მის მოკავშირეებთან ერთად ბრძოლის გეგმებს.

უწინარეს ყოვლისა ბორმანმა გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა მეტოქენი. ჰიტლერის მიერ ანდერძის ხელმოწერის მეორე დღეს ბორმანმა ესესელთა მთავარსადგომს ბერხტესგადენში გაუგზავნა რადიოგრამა, რომელშიც წინადადებას აძლევდა ჩამოშორებინათ გერინგი და მისი შტაბი (როგორც ცხობილია, ბრძანება არ შესრულებულა). ამის შემდეგ ბორმანმა დეკანეში გაუგზავნა დენიც. იგი ატყობინებდა: „ყოფილ რაიხსმარშალ გერინგის ნაცვლად ფიურერი თავის მოადგილედ გნიშნავთ თქვენ“. ბორმანი ჯერ კიდევ არ ატყობინებდა დენიც ჰიტლერის სიკვდილს, ფიქრობდა, რომ ამ გზით მეტი დრო დარჩებოდა იმისათვის, რომ კუნლისებში ხელთ ეგდო მმართველობის საქმე.

1945 წლის 30 აპრილს ბორმანმა გენერალური შტაბის უკანასკნელი უფროსი გენერალი კრებსი გაგზავნა შემტკვი საბჭოთა ჯარების სარდალთან არმიის გენერალ ჩუიკოვთან. ბორმანს მხოლოდ ის უნდოდა, რომ „თავისუფლად გადასულიყო“ ფრონტის ხაზზე, რათა მოხვედრილიყო დენიცთან ფლენსბურგში და იქ გულდამშვიდებით შესდგომოდა სეპარატული დაზავების მომზადებას. როცა კრებსი ისე დაბრუნდა, რომ მისი დავალება ვერ შეასრულა, ბორმანმა გადაწყვიტა თვითონ გასხლტომოდა საბჭოთა ალყას. სწორედ ეს ცდა და მისი შედეგები წარმოადგენს „ბორმანის გამოცანის“ არსს.

ბორმანის მიერ მოწყობილი ექსპედიციის შემადგენლობაში შევიდნენ ჰიტლერის პირადი შოფერი ერიხ კემპკა, მისი პირადი პილოტი ჰანს ბაური, ჰიტლერიუგენდის უკანასკნელი წინამძღოლი აქსმანი და ჯუბელსის პროპაგანდის სამინისტროს სტატს-მდივანი ვერნერ ნაუმანი, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ჯგუფის სამხედრო მეთაურობა. ნაუმანი, ბორმანი და დანარჩენნი ვიდ-ჰელმშტრასეს სადგურზე ჩავიდნენ მიწისქვეშა რკინიგზის ბერგში გამოიწვია ეჭვი იმან, თუ რა დაემართა ნაუმანს, რომელიც ბორმანის გვერდით იჯდა. კემპკამ განაცხადა, რომ „აღარ უნახავს იგი“.

აქ იწყება „ბორმანის გამოცანის“ ის ნაწილი, რომელიც ოფიციალურად დაკავშირებულია ბონის სახელმწიფოსთან და იმ მეთოდთან, რომლის დახმარებითაც ირჩევდა შემდეგში საშიშ სამხედრო დამნაშავეთა საქმეები. გებელსის სტატს-მდივანმა დოქტორმა ნაუმანმა ხუთ წელიწადს არაოფიციალურად იცხოვრა დასავლეთ გერმანიაში, ამასთან მის საქმეზე რაიმე სერიოზული გამოძიება არ წარმობდა. 1950 წელს იგი ზედაპირზე ამოტივტივდა დიუსელდორფში. მაგრამ კიდევ ცამეტ წელიწადს დუმდა იმაზე თუ რა მოხდა ვალენდამერ ბრიუკნერთან. ფრანკფურტის პროკურატურაც ძალიან როდი აჩქარებდა მას. ორდერი ბორმანის დაპატიმრებაზე ხელმოწერილ იქნა მხოლოდ 1961 წელს აიხმანის „ჩავარდნის“ შემდეგ.

ეს ჩვენება ძირფესვიანად განსხვავდებოდა ბარილოშში. მეორე ვერსიით ბორმანი, რომელსაც სარტყელში ჩაკერებული ჰქონდა 100 ათასი დოლარი, გადავიდა ჩილის საზღვარზე, სადაც მოახერხა მიეღო პასპორტი ხუან კელერის სახელზე. ვრცელდებოდა აგრეთვე ხმები, რომ ორი ჩილიელი მწყემსი, რომლებიც თითქოს ეხმარებოდნენ ბორმანს საზღვარზე გადასვლისას, უკვალოდ გაქრა საიდუმლო გარემოებებში.

ერთი რამ სარწმუნოა, რომ 1962 წელს დასავლეთ ბერლინში გამოჩნდა კაცი, რომელსაც ჰქონდა პასპორტი ხუან კელერის სახელზე. იგი დაეკიდე. მაგრამ გამოირკვა, რომ ამ კაცის თითების ანაბეჭდები არ შეესაბამება ბორმანის თითების ანაბეჭდებს, რომლებიც ფრანკფურტის პროკურატურაში ინახებოდა. მაშინ ხუან კელერი გაათავისუფლეს, და იგი დაუყოვნებლივ გაქრა. ახლა კი ჰამბურგის „შპიგელის“ მონაცემებით, პროკურატურას „შესაძლოდ მიაჩნია, რომ ყალბი იყო ბორმანის თითების სწორედ ის ანაბეჭდები, რომლებიც დოკუმენტებში ინახება“. ეს ანაბეჭდები ნაცისტური წყაროდან მომდინარეობდა! მათი „ფუნქცია“ შეიძლებოდა სწორედ ის ყოფილიყო, რომ გაეადვილებინათ ბორმანის გაქრობა, გაეძღვნებინათ მისი გამოცნობა.

ასეა თუ ისე, ნაუმანი აგვიანებდა ჩვენების მიცემას, ფრანკფურტის პროკურატურა კი მოთმინებით იტანდა მის დუმილს, სანამ არ „მოგვარდა“ კელერის საქმე.

ყველაზე ახალი მოწმე გამოჩნდა ახლა ავსტრიის მოქალაქის კარლ კ-ს, სახით, რომელიც ბერლინში ბორმანი, რომელსაც ციანიდი ჰქონდა „ვეფხვის“ აფეთქებისას შენებლად გადარჩა. ამრიგად, შეიძლება ვიფარაუდოთ: ის, რაც ნაუმანმა მოახერხა, შეიძლებოდა ბორმანსაც მოეხერხებინა.

ფრიად საეჭვო იყო როგორც ნაუმანის ხანგრძლივი დუმილი, ისე ფალეკეული მომენტები მის ახალ ცნობებში. საქმე ის არის, რომ, როგორ აიხმანი შეიპყრეს, არგენტინაში ხმები გავრცელდა, რომ ბორმანი თითქოს მასთან ერთად ცხოვრობდა ბუენოს-აირესის განაპირა უბანში და იქიდან გაიქცა საკურორტო დაბა ბარილოშში. ბორმანი, რომელსაც სარტყელში ჩაკერებული ჰქონდა 100 ათასი დოლარი, ბოლოს ... ბოლოს ... ...

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

გმირები ცოცხლდებიან

თბილისის კინოსტუდიის მსახიობთა ჯგუფი, რომელიც ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩას“ კინორეჟისორულ მუშაობს, ამჟამად ყაზბეგში იმყოფება. კინოსტუდიის პავილიონებში მათ ძირითადად უკვე დაამთავრეს მუშაობა და ახლა ყაზბეგში აგრძელებენ ნატურგადაღებებს.

ფილმის რეჟისორია ნ. სანიშვილი. მთავარ როლებში მონაწილეობენ — ს. ბაღაშვილი (ხევისბერი გოჩა), ლ. აბაშიძე (ძიძია), თ. არჩვაძე (გუფუა), ნ. შარია (ონისე), კ. დაუშვილი (ნუჟაური) და სხვები.

ამ დღეებში ყაზბეგის კულტურის სახლში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს კინომსახიობებს. შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ ყაზბეგის სკოლის მასწავლებლები ვ. ტუნაშვილი, 80 წლის მოხუცი გ. ალიბეგაშვილი, ყაზბეგის კომკავშირის რაიკომის მდივანი გ. ხართიშვილი, გორისციხის რვაწლიანი სკოლის დირექტორი ი. ჩქარეული, ადგილობრივ რადიოგადაცემის რედაქტორი შ. არაბული, მოსწავლე ჰ. სუჯაშვილი.

კინორეჟისორმა ნ. სანიშვილმა, მსახიობებმა ს. ბაღაშვილმა და ლ. აბაშიძემ შეკრებილთ უამბეს, თუ როგორ მუშაობენ ახალი ფილმის შექმნაზე.

შ. ხეთაგური.

სურათებზე: ლ. აბაშიძე (ძიძია), ს. ბაღაშვილი (ხევისბერი გოჩა) და ნ. შარია (ონისე).

მკითხველის კალმით

● **ამასწინათ** რუსთავში გაიმართა თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის და დასავლეთ ევროპის ენათა და ლიტერატურის კათედრების საერთაშორისო-მეთოდური გამსვლელი სესია თემაზე — მოსწავლეთა მეტყველების განვითარება.

სესია გახსნა პროფესორმა შ. ძიძიგურამ. საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს პროფესორმა ა. გაწერელიამ, დოცენტებმა ლ. კვაჭაძემ, ა. ჩაჩიბაიამ, ა. დავითიანმა და ი. მაისურაძემ.

● **ზესტაფონელი** მაყურებლის წინაშე რამდენიმე კონცერტით წარსდგა აზერბაიჯანის სახელმწიფო ფილარმონიის ესტრადის ანსამბლი „ჩვენ ბაქოდან ვართ“. ანსამბლის პროგრამაში იყო რუსული, აზერბაიჯანული, საზღვარგარეთული სიმღერები, ავტორეკ ცეკვები, იუმორი, სატირა, დეკლამაცია და სხვ.

● **ამბროლაურის** სარაიონო კულტურის სახლთან არსებულმა ავტომხატვრულმა ბრიგადამ მოამზადა ახალი პროგრამა „მოდიერთ, მოგვიხარია“. ბრიგადამ მიმდინარე წლის პირველ ორ თვეში საღამო-კონცერტები გამართა შვიდ კოლმეურნეობაში, მათ შორის ხიდიკარში, სადმელში, ამბროლაურში და სხვ.

აპ. კერესელიძე.

● **მწყობრში** ჩადგა ხორცკომბინატ-თევზეკომბინატის ფოთის ბაზის მაცივარი. მას აქვს 8 კამერა და სპეციალური ბაქანი იზოთერმული ვაგონების ჩამოსაყენებლად. პროდუქტების მიღება-გაცემისათვის მოწყობილია მექანიზებული საწყობრები.

ბ. კომეხიძე.

ფიდელ კასტროს ამანათი

ქუთაისი. (საკ. კორ.). იმ დღეებში, როცა კუბელი ხალხის ბელადი საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა, ქუთაისის მე-13 საშუალო სკოლის მოსწავლემ ვალერი ანდრიანოვმა ფიდელ კასტროს მისწერა, რომ იგი უსაზღვროდ აღფრთოვანებულია ჩვენს ქვეყანაში მისი ჩამოსვლით, და სთხოვა სტუმრად სწვეოდა ქუთაისში.

ამას წინათ ქუთაისელმა მოსწავლემ თავისუფლების კუნძულიდან წერილი და ამანათი მიიღო. ვალერის ატყობინებენ, რომ ფიდელ კასტრო, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემა მოხარული იქნება კვლავ ინახულოს საბჭოთა მეგობრები,

„მიიღეთ, — ნათქვამია წერილში, — რევოლუციური სალამი ფიდელისაგან და მოლოცვა ჩვენი მადლიერი ხალხისაგან, რომელიც დიდად აფასებს საბჭოთა ხალხის მეგობრობასა და დახმარებას“.

მუსიკალური სკოლა სოფელში

წყალტუბო. (საკ. კორ.). სოფელ მაღლაკის საშუალო სკოლასთან ამ ერთი თვის წინათ გაიხსნა მუსიკალური სკოლა. აქ ხუთ სასწავლო ჯგუფში მეცადინეობს კოლმეურნეთა 50-ზე მეტი ბავშვი. სკოლას შეიფობას უწევს ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივი.

ამ დღეებში სოფლის კულტურის სახლთან მეცადინეობას შეუდგა ეგრეთვე მუსიკის შემსწავლელი წრე, სადაც მუსიკის ანბანს ეუფლებიან ახალგაზრდა კოლმეურნეები.

პიონერული მუზეუმი

სოხუმი. (საკ. კორ.). პიონერთა სოხუმის საქალაქო შტაბი დიდხანს ემზადებოდა ვ. ი. ლენინის მუზეუმის გახსნისათვის. მუზეუმის საბჭო აგროვებდა მასალებსა და წიგნებს ვ. ი. ლენინის ბავშვობაზე, ყმობასა და რევოლუციურ მოღვაწეობაზე. პიონერებმა ს. ტორგუნაკოვმა და მ. ხონდომ მომზადეს მუზეუმის ერთ-ერთი განყოფილება — „ლენინის სახელობისა“. ამ მიზნით მათ შეისწავლეს სტამბის ისტორია, რომელიც ვ. ი. ლენინს სახელს ატარებს. პიონერებმა ინახულეს ამ სტამბის უძველესი მუშაკი მ. ხახმიგური, რომელმაც პიონერებისათვის დაწერა მოგონებები.

თბილისი-სუმგაითი

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის პროდუქციას კარგად იცნობენ რუსეთის სფსრ, უკრაინის, ბელორუსის, მოლდავეთის, სომხეთის მანქანათმშენებლები. ამჟამად ქარხნის კოლექტივი რამდენიმე მოდელის მილსაკუთხავ ჩარხებს აკეთებს აზერბაიჯანელი მეგობრებისათვის.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მილსაკუთხავი ჩარხის ტტ-105-ის ახალი მოდელი. იგი დაპროექტებულია კოსტრუქტორების პ. აბესაძისა და ტ. შიგელას ხელმძღვანელობით. ჩარხის დამუშავებისას ქარხნელი სპეციალისტები რამდენჯერმე იყვნენ აზერბაიჯანში, ეთათბირებოდნენ რესპუბლიკის წამყვან კონსტრუქტორებს.

ჩანახატი

გაზაფხული

მზემ გაიცინა...

მიწას ბებერი ძვლები გაუთბა და შეიშმუშნა. ნაკადულმა ჩაიკისკისა. გამოძინებულმა ხეებმა შიშველი მკლავები აბარტყუნეს და მგონი გაიზმორნენ კიდეც. ბუჩქები შეკრთნენ. ბუზღუნი დაიწყეს, ასე ადრე რატომ გაგვაღვიძეთო. ჭაღარა მთებშა ვარდისფერი სათვალე დაიდგეს შუბლზე, ღრუბლების ხელით მოიჩრდილეს და ქვეყანა ხეებს გადასძახეს: ეჰეი, რა ამბავია, რატომ ხმაურობთო. ხეებნი ხარხარებდნენ: აქეთ, აქეთ ჩამოდით და გაიგებთო...

ქარი ვერ ისვენებდა, ხან აღმა არბოდა, ხან ჩამოღმა. ხეებს უსაყვედურებდა: ხმა ამოიღეთ, მომეხმარეთ, ყველა გავაღვიძოთო. და ისინიც გასძახოდნენ: — გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ!...

ხეებმა და ბუჩქებმა ისევ ჩათვლიმეს... გაბრაზდა ქარი; ზოგს ფრთა გაკარა, ზოგი შეარხია და ზოგს ტოტებიც კი მოგლიჯა შიშველი სხეულიდან. ხეებმა გაკვირვებისაგან ტანი შემოკარეს, ქარს შეუტიეს: რა გული გაგვიწყალე, უსაქმოდ რომ დაეხეტები მთასა თუ ბარში, დაგვაცადე გამოვიძინოთო.

ქარი არ ეშვებოდა: — მარტა, მარტი, უკვდავების წყალი მოგიტანეთ, არ გინდათ?!

ხეები მაინც არ უჯერებდნენ და თავისთვის ბუზღუნებდნენ, რა სიხსლი გაგვიშრო, აღარ დაგვეხსნებაო?

— რა დროს ძილია, — თავისას გაკკიოდა ქარი, — გაზაფხული მოდის, გაზაფხული, თვალი გაახილეთ, მოემზადეთ, მე ნუღარ მაცდენთ, ისეც ბევრი საქმე მაქვს, საცაა ყვავილები მობრძანდებიან, მიწა უნდა დავგაგო! — თან დარბოდა, შემოდგომით დაცვივნული ფოთლებით ჯერ ორმომეს ავსებდა და, რაც რჩებოდა, ხევებში ჰყრიდა. ეს უკანასკნელნი კი ბობოქრობდნენ, ხორხოცებდნენ: — ეს რა უბედურებაა, რაც ნაგავია, სულ ჩვენ გვაყრი თავზე, გვეყო ამდენი მოთმენა!.. მთები ამშვიდებდნენ, ქარი თავისას მაინც არ მოიშლის, ხომ იცით, რა თვითნებაოო, და თან თოვლის ნაწურს ატანდნენ ნაკადულებს, აბა, ხეებს ჩაუტანეთ, რომ განიბანონო.

მზე იცინოდა და მაღლა, სულ მაღლა მიიწევდა...

მიწას გვერდები გაუთბა, გულისპირი შეიხსნა და უბიდან ჯერ თავისი პირმშო — ენძელა ამოსვა. ამ უკანასკნელმა დინჯად გაახილა თვალი, მიმოიხედა, ყვავილთაგან რომ ვერავინ დაინახა, ამაყად ასწია თავი და მეზობლებს გაეხმიანა: — გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ! გაზაფხულის მოციქული ვარ, სადაც არის თვითონაც აქ გაჩნდება!

დედამიწამ უფრო ფართოდ გაშალა მკერდი, გაჩაღი თავისი სარკმელი, ღრმად ჩაისუნთქა გაზაფხულის სურნელებით გამთბარი ჰაერი და მწვანე ხავერდის ჩოხის ჩასაცმელად მოემზადა. ჯეჯილმაც თავი წამოჰყო და ახალ ხნულს გადახედა. თესავენ, ქართულ პურს თესავენ, — ჩურჩულით უთხრა მთიდან მონაბერ ნიავს.

გაიღვიძეს ყოჩივარდებმა, იებმა, ხარისძირებმა, ფურუსულებმა, შერცხვათ, ენძელამ როგორ გვაჯობაო და თავდახრილები ბუჩქის ძირში მიიყუჟნენ. ფურუსულებს თავი აეწიათ და მეგობრებს უსაყვედურებდნენ: — რა თავი ჩაგიქნევია, რა თქვენი ბრალია, თუ გაზაფხულმა მოციქულობა ენძელას დაავალა, ასწიეთ თავი, მზეს თვალებში უყურეთ, აი ასე, როგორც მე გუქცრი. ისინი კი უფრო მორცხვად ხრიდნენ თავს; მხოლოდ ხარისძირები ბედავდნენ დროდადრო შეეხედათ თავიანთი მაცცხლებლისათვის.

მზე უმზერდა და იცინოდა...

ღიმილით მობრძანდა კეკლუცი ბაზაფხული...

გაფუვდა მადლიანი მიწა, სახნისმა მადიანად ჩაავლო ალესილი კბილი ბარაქიან მიწას და ბელტი ბელტზე გადაყვინა, შავი ახალუხის კალთა გადაუმალა.

შუბლიდან შრომის ოფლის პირველი ნაკადი შეიშშრალა ადამიანმა და ხნულის კალთაში პირველი სათესლე მარცვალი გაახვია.

ხეები სიხარულით თავის ქერქში ვეღარ ეტეოდნენ, კვირტებიდან გამოხედვას კი ვერ ბედავდნენ, ეშინოდათ, ვაი თუ მარტმა თავისი გაიტანოს და ნაადრევი სიხარული ჩაგვიმწარდესო.

შინდი და ტყემალი მაინც აფეთქდნენ კვირტში. მათ პირველად შეხედეს მზეს; შინდმა ქარვა დაიყარა მკერდზე, ტყემალი კი პატარძალივით მორცხვობდა თეთრ კაბაში. —მოჩქარეს მოუგვიანდესო, — აფრთხილებდა ატამი. მათ კი აღარაფერი ესმოდათ, ტკბილი შარბათით უმსპინძლდებოდნენ ფუტკრებს, მასპინძლის გულუხვობით რომ დამთვრალიყვნენ და მკერდზე ეხუტებოდნენ ნაზ ყვავილებს.

მზე უმზერდა და იცინოდა, იცინოდა და თან ოქროს სიმებს აბამდა ცასა და დედამიწას შორის.

ფრთხსნებმა მესტვირეული წამოიწყეს, ჰაერში შეინავარდეს, ოქროს სიმებს ფრთები გაკაკრეს, და ისინიც აჭერდნენ.

...დაიწყო საგაზაფხულო მეჯლისი... ხეებმა ტანი შემოკარეს, ფერხული ჩააბეს შავგუხა შოშიებმა... ხარხარებდნენ ჭიკარა ხეები.

— მომილოცავს, მომილოცავს გაზაფხული! — ღიმილით გასძახოდა მინდვრად გასული ადამიანი ადამიანს.

მზე კი მაღლა და მაღლა მიიწევდა და იცინოდა...

რუსუდან მრევლიშვილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების მე-3 კურსის სტუდენტი.

ბ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტრუბადური (მე-13 აბონ. მე-6 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი — ზღვის შვილები (21-ე აბონ. მე-3 წარმოდგენა), რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის კონცერტი, მარჯანიშვილის სახელობის — რომეო და ჯულიეტა, გრიბოედოვის სახელობის — საჭიროა მატყუარა (აბონ. გარეშე), მოზარდ მაყურებელთა ქართული — ეშმაკის მოწაფე (აბონ. № 40, 5 ს.), თოჯინების ქართული — კომბლე (11 ს.), ჯადოსნური სიტყვა (2 ს.).

თეატრები

11 მარტი

კინო

11 მარტი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, გაზაფხული, კოსმოსი — თუ მართალი ხარ..., სპარტაკი — გულადი იმრონი, თბილისი — მილიონ გრივნაჭა სტერლინგის ღირებულების სბანკო ბილეთი, კომკავშირელი, საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლხიდა, ოფიცერთა სახლი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — ცოცხლები და მკვდრები (I-II სერია), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — ჭალაჭი — ერთი ქუჩა, ოქტომბერი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), ნაკადული — საიდუმლო, საქართველო (წითელი დარბაზი) — კანონი კანონია, გორკის სახელობის კულტურის სახლი — რომელი ჟურნალისტი (I-II სერია), კოლმეურნე — დარიკო, კიროვის სახელობის პარკი — ოქროს კბილი, თანამგზავრი — ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმების ჩვენება საბერძნეთ აფრიკის შესახებ.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

პირველი პროგრამით

06.35 — დ. არაყიშვილის რომანსები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.30 — ბ. კვერნაძე. კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, 11.15 — ნაწყვეტები სეროვის ოპერა „მტრული ძალიდან“, 12.10 — აჭარის რადიოს გადაცემა, 12.25 — ა. შავერზაშვილის სიმფონია, 13.40 — ყირგიზული მუსიკა, 17.15 — საქართველოს სახელმწიფო კაპელის კონცერტი, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ჟურნალ „ვოკრუგ სვეტას“ ფურცლებზე, 18.10 — მუსიკალური რადიოენციკლოპედია, 18.45 — რომეო-ჯულიეტოვის რომანსები, 19.30 — საუბარი — „პარტიული ორგანიზაცია იდეოლოგიური მუშაობის სული და გული“, 19.46 — ს. ცინცაძის ფანტაზია ქართული ხალხური სიმღერების თემებზე, 20.15 — „ძილისპირული“, 20.30 — ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, 23.30 — ბეთჰოვენი. მეოთე სიმფონია.

რადიო

12 მარტი

ტელევიზია

12 მარტი

12.00 — კინონარკვევები, 13.00 — მხატვრული ფილმი „შეშლილთა სასამართლო“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ყველაზე პატარებისათვის — „მხიარული კონცერტი“, 18.25 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.45 — კინონარკვევი — „კარტოფილის უხვი მოსავლისათვის“, 19.05 — გადაცემა — „ფოთელ მანქანათმშენებლებთან“, 19.20 — კინონარკვევი — „დავიწყებული მიწა“, 19.45 — ტელელექტორიუმი „ცოდნის კარი“, 20.05 — კინონარკვევი, 20.25 — კონცერტი, 20.50 — მხატვრული ფილმი „შემთხვევა კაშხალზე“, 22.15 — ახალი ამბები.

თ. ზ. ჩოჩიევი

საქართველოს მათემატიკოსთა რიგებს გამოაკლდა ნიჭიერი მეცნიერი, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე, დოცენტი თეიმურაზ ზაქარიას-ძე ჩოჩიევი.

თ. ჩოჩიევი დაიბადა 1911 წელს. 1940 წელს დაამთავრა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკა-მექანიკის ფაკულტეტი. 1941-45 წლებში ამხ. ჩოჩიევი დიდი სამამულო ომის ფრონტებზეა; ომის დამთავრების შემდეგ, მძიმე ჭრილობებით შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, იგი განაგრძობს ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობას და 1949 წელს წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას.

1950 წლიდან თ. ჩოჩიევი მუშაობს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგედ; შინ კალამს აკუთვნის 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

თ. ჩოჩიევი იყო სკკპ წევრი 1955 წლიდან. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ და მეცნიერულ მუშაობაში. იყო საქართველოს მათემატიკური საზოგადოების გამგეობის წევრი.

სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის თ. ჩოჩიევი დაჯილდოებული იყო საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

მისი სახით ჩვენ დაკარგეთ ნიჭიერი მეცნიერი, ახალგაზრდობის გულისხმიერი აღმზრდელი და მეგობარი. ასეთი დარჩება მისი სახე ჩვენს მეხსიერებაში.

საქართველოს მათემატიკური საზოგადოება.

ტურნირის უკანასკნელი აკორდი

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით მსოფლიო პირველობის მოსკოვის ზონალური ტურნირის იმ მოკადრაკეებზე, რომლებმაც პირველი სამი ადგილი დიაკავეს და საზონთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ესენი იყვნენ ბ. სპასკი, დ. ბრონშტეინი და ლ. შტეინი.

უკანასკნელი ტურიდან დაუმთავრებელი დარჩა ერთი პარტია დ. ბრონშტეინსა და ვ. კორჩნოის შორის. ამიტომ მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა საბოლოოდ ცნობილი არ იყო. მიუხედავად ამისა, რომ ვ. კორჩნოისათვის ამ პარტიის შედეგს არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, იგი თამაშობდა ინიციატივიანად, შემოქმედებითად და აიძულა დ. ბრონშტეინი დანებებულიყო.

ამრიგად, შეიეხო სატურნირო ცხრილის ყველა უჯრედი. მეტოქეთა საბოლოო შედეგები ასეთია: ბ. სპასკი — 7 ქულა, დ. ბრონშტეინი და ლ. შტეინი — ექვსნახევარ-ექვსნახევარი ქულა, რ. ხოლმოვი — 6 ქულა, ვ. კორჩნოი და ა. სუეტინი — 5,5 ქულა თვითეულს, ე. გელერი — 5 ქულა.

მოსკოვის ზონალურ ტურნირში გამარჯვებული სამეული, ავრეთვე მ. ტალი, ვ. სმისლოვი და 19 საზღვარგარეთელი მოჭადრაკე 20 მაისიდან 25 ივნისამდე ჰოლანდიაში გამართავენ საზონთაშორისო ტურნირს.

ლიდერის დამარცხება

საქართველოს ჩემპიონატის მეოთხე ტურში, რომელიც გუშინ შედგა, პირველი დამარცხება განიცადა ერთ-ერთმა ლიდერმა — ოსტატმა ა. ბუსლოვმა. მას მოუგო ჯ. ბერაძემ. თ. კეკანაძემ სძლია ა. კირვალიძეს, ს. მეგრელიშვილმა — გ. კალატოზიშვილს, ა. ბოკუჩავამ — გ. ჭანტურიას, ი. ლოლუამ — ს. ძუგაევს. ყაიმზე შეთანხმდნენ ა. ფირცხალავა და თ. გიორგაძე. დანარჩენი პარტიები გადადგა.

ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი გახდა თ. კეკანი, რომელსაც 3,5 ქულა აქვს.

პოლონეთი-საქართველო

გუშინ თბილისის სახელმწიფო ცირკში შედგა საერთაშორისო შეხვედრა კლასიკურ ჭიდაობაში პოლონეთისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩის შედეგია 5,5:2,5 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ.

საქართველოს მოჭიდავეებიდან ქულებით გამარჯვეს: რ. ბურუგამ, ე. აკიშევილმა, ო. ბლიაძემ და ა. ხაბეიშვილმა. ფრედ დაამთავრეს ორთაბრძოლა ა. ხარაბაძემ, ზ. ოგრეხელიძემ და კ. ღოღუნშვილმა. დამარცხება განიცადა მ. ჩიბურდანიძემ.

სპორტული ქრონიკა

△ **კიშინიოვში** რამდენიმე დღეს გრძელდებოდა „ბ“ კლასის კალათბურთელ ქალთა გუნდების ზონალური ასპარეზობა. გაიმარჯვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კიშინიოვის „მოლდოვას“ გუნდებმა, რომლებმაც ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

△ **ლენინგრადში** გამართულ ძალოსანთა ასპარეზობაში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ფ. ბოგდანოვსკიმ (საშუალო წონა) ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა. მან აჭიმა 154,5 კილოგრამი და 0,5 კილოგრამით გადააჭარბა თავისსავე რეკორდს.

△ **ჩეხოსლოვაკიაში** რამდენიმე დღეა გრძელდება მსოფლიოს პირველობის გათამაშება ხელბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. ნახევარფინალში გავიდნენ შვეიცის, იუგოსლავიის, გფრ-ს, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და დანიის გუნდები.

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი.

ბ. ფალიაშვილის

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელოვნის შრომის წითელ დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

1. ფიზიკის კათედრის პროფესორი;
2. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრის დოცენტი;
3. ხიდსაცდელი სადგურის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ხიდებისა და კონსტრუქციების გამოცდის დარგში (სამეურნეო ხაზით);
4. სკკპ ისტორიის კათედრის მასწავლებელი;
5. ხიდებისა და რკინაბეტონის კათედრის ასისტენტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ინსტიტუტის რექტორის სახელზე უნდა წარადგინონ განცხადებები შემდეგი საბუთების თანდართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ხარისხის დიპლომების და სამეცნიერო წოდების ატესტატის ნოტარიულად შემოწმებული პირები, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ნაბეჭდი სამეცნიერო შრომებისა და გამოგონებების სია.

კონკურსს ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

სწავლებება ძირითადად ქართულ ენაზეა.

ბინით ინსტიტუტი არ უზრუნველყოფს.

განცხადებები მიიღება შემდეგი მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 77.

დისერტაციების დაცვა

პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

(ი. ჭავჭავაძის პრსპ. № 32)

1964 წლის 27 მარტს დღის 12 საათზე სხდომათა დარბაზში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **რამაზ სერგის-ძე კობაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„პოლიკარპე კაკაბაძის დრამატურგია“.**

27 მარტს დღის 2 საათზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გიორგი სიმონის-ძე გაჩეჩილაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„გ. ტაბიძის ლირიკის ძირითადი ტენდენციები“.**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ტელევიზორების მფლობელთა საყურადღებოდ!

საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს სატელევიზიო და რადიომიმღები ქსელის დირექცია აცხადებს, რომ რიგი, რომელიც არსებობდა 43 ЛК 26 ტიპის კინესკოპებზე ტელევიზორებისათვის „რადიი“, „ტემპ-3“, „რუბინი“, „ნიმანი“, „ვორონეჟი“, „ზნამია“, „ბელარუს-5“ და სხვა, ამჟამად გაუქმებულია. ეს კინესკოპები დირექციას საკმაო რაოდენობით აქვს. კინესკოპის შეძენისა და მისი დაყენებისათვის საჭიროა დირექციის მექანიკოსის დასკვნა და ძველი კინესკოპის აუცილებელი ჩაბარება შემდეგი მისამართებით:

ქ. თბილისი, გარაზაზხვილის ქ. № 5, ქ. ქუთაისი, ლენინის პრსპ. № 14, ქ. რუსთავი, ლენინის ქ. № 10, ქ. გორი, საბჭოს ქ. № 99, ქ. ჯასპი, ლენინის ქ. № 26, ქ. სოხუმი, რუსთაველის ქ. № 48, ქ. ბაგრა, საკურორტოს ქ. № 159, ქ. ცხაკაია, რუსთაველის ქ. № 125, ქ. მახარაძე, გურიის ქ. № 63, ქ. თელავი, საყაძის მოედანი № 2, ქ. სამტრედია, ლენინის ქ. № 2.

დირექცია.

კომუნისტი КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 8-08-67 ბ/მგ მდივნის — 9-72.80, სამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა: პარტიული 9-87-61, მრეწველობის — 8-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, უცხოეთის — 8-22-89, სოფლის მეურნეობის — 8-82-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების 8-85-01, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ЧВЕНИ ВИСАМАРТИ ДА ТЕЛЕФОНЕБИ

УЕ 01100

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.